წელიწადი მეორე — ფასი 7 კაპ. — შაბათი, 22 ღვინობისთვე 1916 წ. № 235

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის ფვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კვადრატ. ჩარჩოში ჩასმულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ხელის მოწერის ფასი:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პროვინციაში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**



ნიკოლოზ ესტატეს ძე წერეთელი მეუღლით და შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს დილას, 18 ამა ღვინობისთვეს, უეცრივ გარდაიცვალა დედა და ბებია მათი

## მარიამ ივანეს ასული წერეთელი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საკუთარ სახლში, ნავთლუღში, რუსტველის ქუჩა № 11.
დაკრძალვა კვირას, 23 ღვინობისთვეს, დილის 11 საათზე წმ. ბარბარეს ეკლესიის გალავანში.

(2—269—2)



## სადგილ-მამულო კომისია

აცხადებს, რომ მისთვის საჭიროა გამოცდილი

## ინჟინერ-მელიორატორი

წლიურ ჯამაგირად მიეცემა 3,600 მან. ამას გარდა 5%. შესრულებულ საქმეთა ხარჯთ-აღრიცხვიდან და ცალკე საგზაო და დღიური გასამრჯელო.

**მისამართი:** Тифлисъ. Двор. Депут. Собраніе—Земельная комиссія.

(7—211—2)



დაიბეჭდა ბ-ნ დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი:

## „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“

პირველი ნაწილი ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ფასი ყდით ექვსი აბაზი.

და ბ-ნ ვას. წერეთლის მიერ შედგენილი:

## ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია

ივანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით, ფ. 30 კაპ.
გამოცემული თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ-ნ ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია

## ჩვენი ახალი მწერლობა

და ბ-ნ მ. ყიფიანის მიერ შედგენილი

## ალგებრა ქართულ ენაზე.

(10—203—6)



ქ. ბათუმი

## ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)



## სავაჭრო სახლი „ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**



ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

## კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(135—წ.)






„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

**სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი**

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
დიმიტრი უჩ. ბიბიბერია და ნ. ზ. ქურთაური

(თ. 253—26)



პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

ხიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილი მზარეულის ხელმძღვა ნელობით.

პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.



## საგალანტერიო მაღაზია

## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
მიიღება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ზოლქსოლობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)



## შეშის საწყობი

## ნიკოლოზ იოს. ჭელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასზ

## საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.



ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

**შეშხაპუნება**



ექიმი-დოსტაქარი

## ბ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.



გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა



ექიმი

## მ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზველინსკის ქ. № 4. (თ.—202—)



დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.



მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს

## სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი

დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის.
თუმანოვის შესახვევი, № 24.

(თ. 348—24)


## „საქართველოს“ კანტორისაგან.

### ქუთაისის ხელის მომწერლებს,

ვისაც სრულად ფული არ აქვთ გადახდილი, ვთხოვთ გადასცენ თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში.

## ქალაქის ინტერესების გაქურდვა!

(პროტასიევის რევიზიის გამო)

ქალაქის გამოკვების საქმე, რომელსაც ქალაქის გამგეობა განაგებდა, მეტის-მეტად უწესრიგოდ მიმდინარეობდა. არ იყო უმთავრესი საკვების, პურის, შოვნა. ქალაქის მკვიდრი იძულებული იყო ხშირად მთელი ღამე საპურეების წინ ედარაჯნა, რომ შინ მიეტანა ერთი ორი გირვანქა, ტყვიასავით მძიმე, გამოუმცხვარი პური. ბოლოს ასეთი მდგომარეობა აუტანელი შეიქნა, პრესასა და საზოგადოებაში აშკარა უკმაყოფილება ჩამოვარდა და ვინ იცის მდგომარეობა რა მიმართულებას მიიღებდა, რომ მეფის ნაცვლის განკარგულებით ქალაქისათვის არ დაეთმოთ საინტენდანტოს კუთვნილი 60,000 ფუთი ფქვილი.

აშკარა იყო ყველასთვის, რომ ქალაქის სასურსათო საქმის გამგენი თავიანთ მოვალეობას პირნათლად და გადაუხვევ-გადმოუხვევად ვერ ასრულებდნენ, თორმე მას ყოველგვარი საშუალება მოეპოებოდა, რომ ქალაქი ყოველთვის დროზედ უზრუნველყოფილი ეყო საკვების მხრივ. ადგილობრივმა უმაღლესმა მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და, როგორც ვიცით, რევიზია დანიშნა სასურსათო საქმიანობის გამოსაძიებლად. რევიზია მიენდო მეფისნაცვლის საბჭოს წევრს ბ-ნ პროტასიევს. ამ უკანასკნელს რევიზია გაუთავებია და თვისი დასკვნა მოუხსენებია, სადაც ჯერ არს. დღეს მეფისნაცვლის კანცელარია, ბ-ნ პროტასიევის დასკვნების მიხედვით, აცხადებს, რევიზიამ სისხლის სამართლის ხასიათის ბოროტმოქმედება ვერ აღმოაჩინა, სასურსათო საქმეშიო? მაგრამ უწესობებას, არევ-დარევას, ფორმალურ წესების დარღვევას-კი ბლომად ჰქონია ადგილიო. მაგრამ ასეთი ლმობიერი „საყვედურების“ გვერდით აღნიშნულია ერთი ფაქტი, რომელმაც ამას წინად რამოდენიმედ პრესაშიაც კი გამოჟონა და რომელიც ეხლა ბ-ნ პროტასიევის რევიზიას უფრო სავსებით და ვრცლად გადაუშლია. თურმე ნუ იტყვით, ქალაქის სურსათის საქმის გამგენი იმ დროს, როდესაც თვით თბილისს უპურობის მწარე დღეები ედგა, თბილისის კუთვნილ ფქვილს სხვა ქალაქებსა და ადგილებში გზავნიდენ!!

ასეთი საქციელი, ჩვენის აზრით, არც უწესოების რუბრიკაში მოთავსდება და არც ფორმალური წესების დარღვევის რუბრიკაში. ეს ნამდვილი დანაშაულია, რომელიც ჩაუდენიათ ქალაქის ინტერესის საზიანოდ, იმ ქალაქისა, რომლის ინტერესის დაცვა მათი წმინდა და გარდუვალი მოვალეობაა. განა ქალაქის მკვიდრებმა ეს პირნი იმიტომ აირჩიეს, ან ნდობით იმიტომ აღჭურვეს, რომ ქალაქისა და მისი მცხოვრებთა ინტერესები არაფრად მიიჩნიონ და ამ უკანასკნელთ არსობის პური ხელიდან გამოსტაცონ და სადღაც ეშმაკეთში სწორედ იმ დროს გადაკარგონ, როდესაც თვით ქალაქსა და მის მცხოვრებთ პურის კრიზისი და მწვავე გასაჭირი უდგათ?! თუ ასე ახირებულად ესმით ქალაქის ინტერესის დაცვა და მის მცხოვრებთა სამსახური იმ პირთ, რომელნიც უშუალოდ ამ სურსათის საქმეს განაგებენ, სადღა იყვნენ სხვები, ან ქალაქის მოურავი, ან სათანადო სარევიზიო კომისიის წევრები, ან დანარჩენი ხმოსნები. პურისა და სხვა პირველი საჭიროების სანოვაგის უშოვნელობის შიში მეორე წელიწადია რაც მთელ რუსეთში ჩამოვარდა. ქალაქის თვითმართველობები, სამინისტროები თუ კერძო საზოგადოებები დღე და ღამ ამისთვის ზრუნავენ.

ეს მოულოდნელი და უცაბედათ თავს დატეხილი უბედურება როდია, რომ თბილისის ქალაქის თვითმართველობა დროზე გონს ვერ მოსულიყო და დრო და საშუალება არ მოეხელთა, რომ სისტემატიური და ბეჯითი მეთვალყურეობა გაეწია იმ პირთა მუშაობისთვის, რომელსაც ქალაქის ოთხასი ათასი ადამიანის სულიერი არსების სიცოცხლე ხელში ეპყრა. დასასჯელი ბოროტმოქმედებაა მა რა უბედურებაა, როდესაც ქალაქის ფქვილს სხვებზედ ჰყიდიან მაშინ, როდესაც ეს ფქვილი ადგილობრივად არის საჭირო?!

ქალაქის მცხოვრებისთვის აზრი და მნიშვნელობა არ აქვს იმის თქმას, რომ რევიზიამ სისხლის სამართლის ხასიათის ბოროტმოქმედება ვერ აღმოაჩინაო; თითქოს ამით ან სასურსათო საქმის გამგეთა მდგომარეობა იყოს ხელუხლებელი, ან კიდევ იმ ორგანოებისა და პირებისა, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ ამ პირთა მოქმედებაც სცოდნოდათ და თვალყურიც ედევნებინათ, რომ დროზედ შეეჩერებინათ ბოროტმოქმედება. ყველა ეს ხალხი ხომ ქალაქის მცხოვრებთა მიერ არის არჩეული მათი ინტერესების დასაცავად. და რა წამს ისინი ქალაქის მცხოვრებთა ინტერესს ულალატებენ, მათ არავითარი ზნეობრივი უფლება არ აქვთ თავიანთ ადგილზე დარჩნენ. ქალაქის ინტერესი გაქურდულია და გაქურდვის ავტორების შემდეგი მოღვაწეობა და მეურნეობა საერთოდ ყოვლად შეუძლებელი და შეუწყნარებელი უნდა იყოს, ნამეტურ ისეთ პასუხსაგებ საქმეში, როგორიცაა ქალაქის გამოკვების საქმე დღევანდელს პირობებში. ქალაქის მკვიდრნი ამიერიდან უნდობლად შეხედავენ ამ საქმის გამგეთ. მათ გარანტია არ აქვთ, რომ ეს „შემჩნეული“ პირები შემდეგშიაც მსგავს ბოროტმოქმედებას არ ჩაიდენენ. მცხოვრებთა სინიდისის ამ სამართალს უნდა ანგარიში გაუწიონ მათ, ვინც ბ-ნ პროტასიევის გამოძიებას „სისხლის სამართლის წესით“ სამართალში ვერ მიუცია!.. ისინი ამ სამართალს ვერსად გაექცევიან და მათი მოქალაქობრივი სიკვდილის განჩინება სწორედ ამ სამართლის წესით დაიწერება!!

გ. ვაშაძე.

## პრესის მაგიერ

თითქმის ნახევარი წელიწადია, რაც ქართული საზოგადოებრივი აზრი და ქართული პრესის ერთი ნაწილი მეთოდიურ მუშაობას და კამპანიას ეწევა ჰიათურის გერმანული ფირმების შესასყიდათ და მოითხოვს, რომ მყიდველის როლში სწორედ შავი ქვის მრეწველთა საბჭო გამოსულიყო. როგორც ვიცით, ეს მუშაობა და კამპანია სასურველად დამთავრდა. ჰიათურის მრეწველთა საბჭო დღეს ოფიციალად ხსენებული ფირმების მყიდველად გამოდის. „სახალხო ფურცელს“ ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მოუთხოვნია და არც სურვილი გამოუთქვამს, რომ ქართველების მხრით კონკურენტად მაინც და მაინც მრეწველთა საბჭო გამოსულიყო. დღეს, როდესაც მუშაობის ეს ეტაპი დამთავრდა და „ციხეც აღებულია“, „სახალხო ფურცელი“ (№ 702) სწერს:

„დღეს, როდესაც გარემოებამ დასვა საკითხი უცხოელთა წარმოების ლიკვიდაციისა, სრულიად ბუნებრივი იქნება, თუ უპირველეს კონკურენტად სწორედ საბჭო გამოვა“.

...დილა მშვიდობისა! მიიღეთ ჩვენი დაგვიანებული სალამიც!

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

რუსეთი და რუმინეთი დღეს ერთ სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენს. მთელი ბრძოლის ხაზი, მოყოლებული რიგიდან დობრუჯამდე, სტრატეგიულად გაერთიანებულია. სადაც უნდა დაიწყონ მოპირდაპირეებმა ოპერაციის წარმოება, იქნება ეს პოლონეთის ასპარეზი, თუ გალიცია, ან რუმინეთის ხაზი, სულ ერთია ყველა ეს ალაგები თავიანთ თვალსაჩინო მნიშვნელობას არ ჰკარგავენ და მებრძოლნი იმისდამიხედვით, რომელი სად რას ჰფიქრობს, რა განზრახვა აქვს, შესაფერისად იყენებენ ამ მიდამოებს და მთავარ გენერალურ ოპერაციაზე ცდილობენ გავლენა მოახდინონ. მკითხველებმა იციან, რომ კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ პასიურ მოქმედების შემდეგ, გერმანელები პირველად ახმაურდნენ რუმინეთის ბრძოლის ასპარეზზე და სტრატეგიულ ოპერაციის წარმოებაც ამ ახალ მოკავშირის წინააღმდეგ დაიწყეს. ადრევე დარწმუნებული ვიყავით, რომ მარტო რუმინეთი ვერ შესძლებდა გამკლავებას და რუსეთი იძულებული გახდება მეტად დიდი და თვალსაჩინო დახმარება აღმოეჩინა. ეს ასეც მოხდა. და რომ ეს ასე მოხდება, ეს თვით გერმანელებმაც კარგად იცოდნენ. რუმინეთის წინააღმდეგ ბრძოლა უპირველესად ბრძოლაა რუსეთის წინააღმდეგ. არც ერთი მოკავშირე იმდენად დაინტერესებული არ არის რუმინეთის მთლიანობაში, როგორც რუსეთი. რაკი სტრატეგიული ოპერაცია გერმანეთმა რუმინეთში დაიწყო, უეჭველია რუსეთსაც ექვეთებოდა და სადმე ან გალიციაში, ანდა პოლონეთის სამხრეთით, უფრო კი კოველის და ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით შესაფერ ოპერაციის გაჩაღებდა. ამაში ყველა დარწმუნებული იყო, უპირველესად კი თვით რუსეთის სამხედრო შტაბი.

ამ ორი სამი დღის წინედ ავსტრიელებმა იერიშები განაახლეს ქ. ბრჟეჟანის სამხრეთით. მტერმა იმდენი ძალა მოიკრიფა ამ მიდამოში, რომ რუსები აიძულა კიდევაც ზოგიერთი სიმაგრეები დაეტოვებინა. გუშინდელი ოფიციალი დეპეშების ცნობით, მოქმედება ახლა უფრო ჩრდილოეთით გადასულა და კოველის მიმართულებით, სახელდობრ, კოლ. ალექსანდროვკაში და მიხაილოვკაში სასტიკი ხასიათი მიუღია. მთავარ შტაბის ცნობით აქ გერმანელებს ჩვეულებრივი ქარიშხალისებური ცეცხლი გაუჩაღებიათ. შემდეგ საშინელი მკაცრი იერიშებით წამოსულან და რუსებისათვის უკან დაუხევინებიათ. ერთი სიტყვით, აქ განმეორდა ის, რაც ქ. ბრჟეჟანთან.

გადაჭრით იმის თქმა, რომ აქ გერმანელები უბრალო დემონსტრაციას აწარმოებენ, ძალიან ძნელია. ამით არც ის გვინდა ვსთქვათ, ვითომ დღევანდელ დღეს გაჩაღებული ბრძოლა უკვე დასაწყისია მთავარ გენერალურ ბრძოლისა რუსეთის წინააღმდეგ. ვიცით დანამდვილებით მხოლოდ ის, რომ აქ ინიციატივა გერმანელებს ეკუთვნის. მასთანვე მდგომარეობა აიძულებთ, თუ კი უნდათ რუმინეთში მოქმედება გაიადვილონ, რუსეთშიაც დაიწყონ ოპერაცია. მოხდება ყველა ეს ახლა და ისიც სწორედ ზემოდ ხსენებულ ალაგებში, ამას სულ ორ-სამ დღეში შევიტყობთ.

რუმინეთში გენ. ფალკენჰაინმა აქტიური მოქმედება ახლა ჩრდილო-დასავლეთის ბრძოლის ასპარეზზე გადაიტანა და სასტიკი ბრძოლა მდ. ალიუტაზე გაჩაღა. წარსულ დღეებში მოსულ ოფიციალ დეპეშათა ცნობით ბრძოლა სწარმოებდა კიმპოლუნგთან და მდ. ალიუტაზე. გუშინ-წინ მდ. ალიუტაზე რუმინელები იძულებული გახდნენ უკან დაეხივნათ. გუშინდელ ოფიციალ დეპეშის გადმოცემით აქ ახლა სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. თუ კი შესძლო ფალკენჰაინმა აქ რუმინელების დამარცხება, მაშინ თვით ბუქარესტის ბედიც გადაწყვეტილი იქნება.

სპარსეთში ოსმალები შეტევის გზას დაადგნენ. მათმა მრავალრიცხოვანმა ჯარმა აიძულა რუსები ბიჯარის მიმართულებით დაეტოვებია სიმაგრეები და უკან დიეხივნა. სამაგიეროდ რუსები საქიზთან ამარცხებენ ოსმალებს.

X.

## ომის დეპეშები

21 ღვინობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მდ. სტოხოდზე, ვიტონეჟის რაიონში, მიხაილოვკასთანა და ალექსანდროვკასთან სასტიკი ბრძოლაა. მტრის პირველი იერიშები ვიტონეჟის წინააღმდეგ მოგერიებულ იქმნა, მაგრამ შემდეგ მტერმა ჯერ ქარიშხლისებური საარტილერიო ცეცხლით მოიმზადა ნიადაგი და მეორეხელ, ნაშუადღევის ორ საათზე ჩვენი თხრილების მოწინავე რიგი წაიღო. ჩვენ დავიხიეთ მდ. სტოხოდის მარცხენა ნაპირისკენ, ვიტონეჟის რაიონში და მის სამხრეთით. 16 ღვინობისთვეს სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა საპიორთა ბატალიონის სახელოვანი კამანდირი, პოდპოლკოვნიკი პოზდნიაკი. ტყიანს კარპატებში, ქ. კაპულის დასავლეთ რაიონში მტერმა იერიში მიიტანა, თითქმის დაახევინა კიდეც რუსებს, მაგრამ მალე რეზერვებიდან მაშველი ჯარები მოვიდნენ და მოიერიშეთა წინსვლაც შეჩერებული იქმნა.

**კავკასიის ასპარეზი.** საკაზის დასავლეთ რაიონში მდ. ტატავაჩის ღელეში, რუსებმა ოსმალებზე იერიში მიიტანეს. ოსმალებმა 27 კაცი დასტოვეს მოკლული და სწრაფად დაიხიეს. ბიჯრის მიმართულებით მთელი დღის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა იყო. მტრის ძალთა უმრავლესობისა გამო რუსებმა საღამოთი დაიხიეს და სოფ. ვიანლისა და შირინმულალს მიაშურეს.

**რუმინეთის ასპარეზი.** ა) ტრანსილვანიაში. მდ. შელეანთან, ბრატოჩის მახლობლად, კრონშტადტის სამხრეთ აღმოსავლეთით 38 ვერსზე, რუმინელთა პატარა რაზმმა მოულოდნელი იერიშით გაჰფანტა მტრის რაზმი, რამდენიმე ტყვე იგდო ხელთ, ტყვიის მფრქვეველები და პროჟექტორი. მდ. ალიუტასთან ბრძოლა ჯერაც არ შეწყვეტილა. მდ. ჟიუსთან მტერს სდევნიან. ბ) დობრუჯში მხოლოდ მოწინავე რაზმთა თარეშია. მზვერავნი ჰხვდებიან ერთმანეთს.

—

**ბუქარესტი.** 19 ღვინობისთვე. რუმინთა ოფიციალი ცნობა. ტოიდიეშიდან ტაბლაბუცამდე მდგომარეობა უცვლელია. ბრატოჩთან და პრედეალთან მცირეოდენი შეტაკებანი ხდება. პრახოვის ღელეში, რუმინებმა მოიგერიეს მტრის იერიში, განსაკუთრებით უნგიაშართან. დრაგოსლავთან მარცხენა ფრთაზე ბრძოლაა. აქ რუმინებმა წინ წაიწიეს და 33 კაცი წამოიყვანეს ტყვედ. ალიუტას მარცხენა ნაპირზე რუმინები მტერს სდევნიან. ტყვედ წამოყვანილია 6 ოფ. და 606 ჯარისკაცი და კარგა ბლომად სამხედრო დავლა დარჩათ. სამხრეთ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

**ლონდონი.** 20 ღვინობისთვე. ოფიციალი მოხსენება. ფრანგებთან ერთად იერიში მივიტანეთ ლაბბეს აღმოსავლეთით და რაოდენიმე წავიწიეთ. ჩვენს იერიშს მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა. გერმანელებმა სასტიკი საარტილერიო სროლა ასტეხეს ლესარისა და გედეკურის შუა, აგრეთვე შვაბენის სიმაგრის გარშემო. გიუშლლიუხის სამხრეთით დილით გერმანელთა თხრილებს მარჯვედ ვესროდით ზარბაზნებსა. ანკრის დასავლეთით ადვილად მოვიგერიეთ მტრის მოთარეშე რაზმები. გუშინ ჩვენმა მფრინავებმა გაითარეშეს გერმანელთა ბანაკისაკენ. ერთი მტრის მფრინავთაგანი ჩამოეშვა მათსავე ბანაკში. ინგლისელთა მფრინავებიდან მხოლოდ ერთი არ დაბრუნებულა.

**ბაზელი.** 19 ღვინობისთვე. შვეიცარიის საკომერციო წრეებში ხმები დადის, გერმანეთი მალე დიდს სამხედრო მასალებს შეგვიკვეთავსო, რადგანაც თვით გერმანეთში სპეციალისტთა ხელის ნაკლებულობააო. სპეციალისტთა მეტი ნაწილი ომში გაუწვევიათ.

**ოდესა.** 20 ღვინობისთვე. უკანასკნელი ცნობების თანახმად მთელი ბუქარესტი ღამით წყვდიადითაა მოცული. სანათის ანთების ნებას არ აძლევენ, რა არის ამით ხელი შეუშალონ გერმანელ მფრინავთ ქალაქის აოხრებაში. ასეთი საშუალება მეორე მხრით იმითაა სასარგებლო, რომ საზენიტო ბოტარეებს მით ხელს უწყობენ „ცეპელინებისა“ თუ სხვა მფრინავთა აღმოჩენაში. უკანასკნელ ერთს ასეთს თარეშის დროს „ცეპელინი“ დიდად დააზიანეს და უკან გააგდეს.

დობრუჯში ოსმალეთიდან აუარებელი ხარები მოუყვანიათ, რომელთაც ცხენების მაგივრად ხმარობენ ტვირთის საზიდავად. ცხენები კი ბულგართა ცხენოსან ჯარში წაუყვანიათ. ბულგარელებისა და გერმანელთა საპიორები დიდს მუშაობაში არიან ჭაობიან გზების გასაკეთებლად. აუარებელ საბარგო ურმებს, სურსათს და იარაღს ეზიდებიან ამ გზებით.

**ადესა.** 20 ღვინობისთვე. ადესაში მოსულთა გადმოცემით, რუმინეთში უკანასკნელად მტრის შეტევით გამოწვეული არევ დარევა მინელდა. 9—13 ღვინობისთვემდე დობრუჯის ასპარეზის მომიჯნავე კარაკიოი, ტატარპალაი, ბაბადაგ, ისაჩევო და ტულჩიდან მცხოვრებთა გახიზვნამ იკლო. თუმცა გალაცში მოგროვდა 24000 ლტოლვილი, მაგრამ ლტოლვილთა კომიტეტი იქ არ დაუარსებიათ. მხოლოდ რუსეთის ელჩის მეუღლის თაოსნობით განზრახული იყო ლტოლვილთა დამხმარე სამზრუნველოების შედგენა. გალაცის მიდამოებში შიშს იწვევდა მტრის ჰაეროპლანები, მაგრამ მფრინავები ყუმბარებს არ ისროდნენ და დაზვერვით კმაყოფილდებოდნენ. ცნობები მოვიდა, რომ მტრის მოწინავე რაზმები გამოჩნდნენ ბაბადაგის ახლოს, რომელიც გალაციდან 30 ვერსით მდებარეობს, მაგრამ ჩვენს ჯარს ისინი განუდევნია. რუსეთ-რუმინეთის შეტევის დაწყებისათანავე მტრის მფრინავების და მზვერავთა რაზმების თარეში ტულჩისა და გალაცის მიდამოებში შესწყდა და საერთო სიწყნარე ჩამოვარდა. შეცვლილ მდგომარეობისა გამო მრავალნი რუსეთიდან ისევ ბრუნდებიან უკან.

**ლონდონი.** 20 ღვინობისთვე. რეიტერის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ, რომ საბერძნეთის გემი „კილბასია“ გუშინ ჩაუძირავს გერმანეთის წყალქვეშას იმ ადგილას, სადაც დაიღუპა გემი „ანჟელიკა“.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

საბერძნეთი.

**მეფე კონსტანტინემ** ასეთი სიტყვით მიჰმართა ახლად ჩარიცხულ ჯარის კაცებს: ახალგაზრდა მეომარნო, ეხლა რომ ფიცი მიიღეთ, ამითი თქვენ გახდით მეომარნი თქვენის სამშობლო ქვეყნისა და მეფისათვის, თქვენ გაჰხდით პირადად ჩემი მეომრები. თქვენ უსიტყვოდ უნდა ასრულებდეთ თქვენის უფროსების ბრძანებას, თქვენი მეფის ბრძანებას. თვითეული მეომარი რომ თავის გულისთქმას აჰყვეს და თავისი აზრის მიხედვით ემსახუროს თავის ქვეყანას, ვაი ასეთ სახელმწიფოს, ათას რამ მაცდურ აზრებს ჩაგჩიჩინებენ, რომ წაგიცდინონ, მაგრამ თქვენ არავის ფეხის ხმას არ უნდა აჰყვეთ, რადგანაც მამულიშვილობა მხოლოდ ნიღაბია მათთვის და ვინც თქვენს გადაბირებას შეეცდება, იცოდეთ იქნება დამნაშავე, მამულიშვილობის ნიღაბ აფარებული. ნუ ენდობით იმათ, თქვენ ფეხი შემოგიდგამთ იმ სახელოვან ჯარში, რომელიც სოლცარის ტრადიციებით არის გამსჭვალული, თქვენ აქ განიმსჭვალებით თავგანწირულობის აღმაფრენით. იყავით ერთგულნი, იყავით გამგონე, გრწამდეთ ჩემი.

ოსმალეთი.

„ბირჟ. ვედ.“-ში მოთავსებულია ტყვე-ოსმალო მკურნალის ნალაპარაკევი. ეს მკურნალი გალიპოლის საუკეთესო ჯარის პოლკიდან ყოფილა. მას უთქვამს: გალიპოლში ჩვენი სახელოვანი მეომრები ათასობითუსიტყვოდ იმუსრებოდნენ მოკავშირეთა ფლოტის ყუმბარებისაგან. მაგრამ კარგად ვიცოდით, რომ ჩვენს ზურგთ უკან სტამბოლი იყო და ჩვენი ბრძოლით ვიცავდით შავი ზღვის გასაღებს და ოსმალეთის მერმისსაც. ვიცოდით, რომ ოსმალეთის არსებობა ჩვენს გამძლეობაზე იყო დამყარებული. ენვერ-ფაშამ ამ სიტყვებით გაგვისტუმრა გალიპოლისაკენ: „შვილებო, თქვენს ხელთ არის სახელმწიფოს ბედი, მოუარეთ, ხელუხლებლად შეინარჩუნეთ უძველესი ქალიფატი. თქვენი უკან დახევა ოსმალეთის დაღუპვა იქნება“. ჩვენც შევფიცეთ ზურგი არ გვეჩვენებინა მტრისათვის, ყუმბარების სეტყვის ქვეშ ვიმუსრებოდით, მაგრამ იშვიათად თუ სადმე ვცვლიდით ადგილს.

ეხლა კი მდგომარეობა შეიცვალა. ჩვენი ჯარის ნაწილი კავკასიის დასაპყრობად არის გაგზავნილი. ამბობდნენ ენვერ-ფაშას და თაალათ-ბეის დამზადებული ჰქონდათ სიტყვები, რომლებიც ყარსისა და თბილისის აღების მერე უნდა წარმოეთქვათ. თბილისში მხოლოდ მეთვალყურე კორპუსი უნდა დარჩენილიყო.

**ბრძოლა ზღვაზე.**

ბერლინში ჩასულან ჰინდენბურგი და ლიუდენდორფი, რომელთაც ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ კანცლერ ბეტმან-ჰოლვეგთან. ამბობენ თათბირი წყალქვეშა ბრძოლის გაძლიერებას ეხებოდაო.

—

ჰოლანდიაში ხმა დადის, გერმანელების ფლოტი დიდ მზადებაშია, თავისს სამყოფელ ადგილებს სტოვებს და გაშლილ ზღვაში გადის. დიდ საზღვაო ბრძოლას უნდა მოველოდეთ.

—

გერმანიის სამხედრო ფლოტის ადმირალად დანიშნეს ვილჰელმის ძმა, პრინცი ჰენრიხ პრუსიელი. იგი 1909 წელს ფლოტის გენერალ-ინსპექტორად დანიშნეს. ასეთი თანამდებობა მხოლოდ გერმანეთის ფლოტში არსებობს. მას ექვემდებარება ფლოტის განყოფილება, სანაღმო საქმე, წყალქვეშ ბრძოლა, არტილერიის საქმე, სანაპირო არტილერიის საქმე და ნაღმების ჩაწყობა.

თვითონ უმთავრესი ფლოტი დღევანდლამდე პირადად ვილჰელმს ექვემდებარებოდა. ეხლა კი თავისს ძმას მიანდო ეს საქმეც. პრინცი ჰენრიხი უმახლობელესი თანაშემწე და დამხმარე ყოფილა ამ 20 წლის განმავლობაში გერმანეთის ფლოტის განვითარება-აღორძინებაში.

—

**დიმიტრიევის აზრი.** საბერძნეთის მდგომარეობის თაობაზე დიმიტრიევი სწერს: ყველას ახსოვს, თუ რა ზომებს მიჰმართეს მოკავშირეებმა, საბერძნეთი ნეიტრალ მდგომარეობიდან გამოეყვანათ და მოპირდაპირეთა ბანაკიდან თავის მომხრეთა რიცხვში მოექცია. ვერც დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ და ვერც სადემონსტრაციო მოქმედებამ ვერაფერი სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. ვერც დროებითი მთავრობის გამოსვლამ... სალონიკში გამოცემულმა... ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და ვერ მოხიბლა მთელი საბერძნეთის ხალხის გული, რადგანაც ამავე დროს საბერძნეთის ხალხი იხიბლებოდა გერმანეთის სამხედრო გამარჯვებით ჯერ სერბეთში და ეხლა ტრანსილვანიასა და დობრუჯში. ეხლა იქამდე მივიდა საქმე, რომ საბერძნეთის ხალხი, არა თუ მოკავშირეებისაკენ არ იხრება, შესაძლოა აშკარად გამოვიდეს მოკავშირეთა წინააღმდეგ და საბერძნეთში მყოფი მოკავშირეთა ჯარი დაატყვევოს კიდეც. ამას მოითხოვენ საბერძნეთში მომქმედი გერმანელების აგენტები ათინაში. სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ ამ აგენტებს გარდა გერმანელები გაცილებით მეტად თავისი გამარჯვებით უფრო მოქმედებენ. ეხლა საქმეს გამოაბრუნებს არა ათინაში ახალი ჯარის გადაყვანა, არც საბერძნეთის წყლებში მოკავშირეთა ფლოტის მიმოსვლა ან სანაპიროების დანგრევა, არც მეცხოვნე ჯარების გაძლიერება, სარაილის სამოქმედო ასპარეზზე. ყოველივე ეს შესაფერი და საკმარისიც იქნებოდა ამ ორი თვის წინად, ეხლა კი საბერძნეთის ჯიუტობას გასტეხს მხოლოდ და მხოლოდ რუმინეთის ასპარეზზე სრული გამარჯვება.

**ვლადივასტოკიდან აკრძალეს ნივთების გაზიდვა.**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ დაადგინა: ვლადივასტოკიდან რუსეთის გუბერნიებში კერძო პირთ დროებით ეკრძალებათ გაზიდვა საქონლისა, იმ საქონლის გარდა, რაც სახელმწიფოს საჭიროებად იქნება მიჩნეული. სახელმწიფო საჭიროებისათვის საჭირო საქონლის გამოზიდვის თაობაზედაც ყოველ კერძო შემთხვევაში ცალკე უნდა აღიძრას შუამდგომლობა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში (პეტროგრადი, სასახლის მოედანი, 8). საბოლოო ნებართვას ასეთი საქონლის გამოტანის თაობაზე მისცემს საზღვაო სამინისტროსთან არსებული საბჭო. („დენ-“ი).

**რიგის მიდამოებში.**

„დენ“-ის ცნობით, რიგის მიდამოებიდან შესვენებული და ხელუხლებელი ჯარი გადაჰყავთ სამხრეთის ასპარეზისაკენ. აქეთ კი სამაგიეროდ გადმოჰყავთ ბალკანეთსა და გალიციაში ნაბრძოლი ჯარი.

**წყალქვეშ ბრძოლა.**

ქრისტიანიიდან იტყობინებიან: წყალქვეშა ბრძოლის გაძლიერება ადასტურებს ტირპიცის აზრის გამარჯვებას-როგორც სჩანს, გერმანელებს გადაუწყვეტიათ არაფერი ავნონ ამერიკისა და ესპანიის გემებს. ნორვეგიის გემებს კი შეუბრალებლად ჰღუპავენ.

**ბუქარესტის საფრთხე.**

ავსტრიელები მაგრად სდგანან, თურმე, მდ. ტროტუშსა და უზეოს შუა. ეს კი ისეთი ადგილია, რომელიც მეტის-მეტს საფრთხეს უმზადებს ბუქარესტს აღმოსავლეთიდან. ბუქარესტის ბედი საფრთხეშია აგრეთვე გერმანშტატისა, კრონშტადტისა და პეტროშენის მხრივაც.

---

## ფეხი იბრუნა

(მოთხრობა) *)

ესე ლა დაგვრჩა სანაცვლოდ
იმ იმედისა დიდისა.

**3.**

ესე მსჯელობდნენ და უბნობდნენ ცოლ-ქმარი, როდესაც მხოლოდ თავიანთ თავზედ ფუქრობდენ ისინი, მაგრამ როცა მათი ფიქრი და ოცნება შეეხებოდა მათ შვილებს, მაშინ კი ფერს იცვლიდნენ მათი სურვილები, სხვა მიმართულებას იღებდნენ მათი ნატვრები. თავიანთ შვილებისათვის, ქალებისათვის თუ ვაჟებისათვის, სხვა მომავალი უნდოდათ მათ, უფრო თვალსაჩინო და ბედნიერი, ხოლო ამგვარ ნატვრის აღსრულება მათი მამულის ფარგლებში და მის ნიადაგზედ შეუძლებელი იყო: ერთ მეკომურს გულუხვად აცხოვრებდა ის მიწა, მუყაითისა და ჰაზრიან მოჯალაბეს, პეტს კი ვეღარ გაუძლვებოდა, მაშ ბალღებისათვის ახალი გზების ძებნა იყო საჭირო, ცხოვრების ახალი სარბიელისა. ჯერ კი ამ ხანად, საზრუნველი იყო იღბალი მათის უფროსი ქალისა, რომელიც თუმცა ისევ ახალნორჩი იყო, მაგრამ საკმაოდ შეღერებული და გამაგრებული, როგორც მტკიცე აგებულობის ქალწული თამამად ნაზარდი. თავიანთ პირმშო შვილის ბედს რომ წარმოიდგენდნენ, უსათუოდ ქალაქის ცხოვრებას დაისახამდნენ თვალ წინ, სუფთა ყოფას განათლებულ და შეძლებულ ოჯახში.

— ნეტა ჩვენი ფეფიკოსათვის ისეთი საქმრო ვიშოვოთ, რომ ფაქიზი ცხოვრება ჰქონდეს ქალაქ ადგილას, უზრუნველი. არ მინდა ამანაც ჩემსავით სოფელში ამოალამოს თავისი სიცოცხლე. რა საჭიროა, ესეც ჩემსავითვე უძლოდეს მიწის მოსავალზედ აგებულ-დამყარებულ სახლს და მარად ჟამს დამკლავებული ებრძოდეს ცხოვრების ყოველდღიურ მოთხოვნილებებს, როგორ ბრძოლაშიაც მე ვარ ჩაბმული?! დეე უფრო განათლებულ საზოგადოებაში იტრიალოს და ნამდვილ ქალბატონობაში გაატაროს თავისი დრო,—ნატრობდა დიასახლისი.

ამისთანა ნატვრაზედ ვაჟკაციც კვერს დაუკრავდა ცოლს, თანაუგრძნობდა მის ჰაზრებს და სავსებით იზიარებდა მის შეხედულობას.

— ეგრე ემჯობინება! არა უშავს რა სოფლადაც, თუ თანხმობა ექნებათ მეუღლეებს და მარტო ერთმანეთითაც იქნებიან სავსენი და კმაყოფილნი; მაგრამ ჩვენც გვეყოფა ესეთი ცხოვრება, დეე მაგან სხვა გზაზედ იაროს, ჩადგეს იმ ყოფაში, რომელსაც ოდესღაც ჩვენ გზა აუქციეთ. შენ ხომ მაინც დარწმუნებული ხარ, რომ ისეთი ცხოვრება სჯობია,—ეტყოდა ქმარი.

მაინც საკვირველი იყო ამ ცოლ-ქმარის საქმე: ერთი მათგანი არ ისურვებდა ისეთს რასმე, რომ მეორეს არ მოსწონებოდა; ქალი რომ დაიწყებდა ჰაზრს, ვაჟკაცი დაამთავრებდა. ერთად თანხმობით ცხოვრებამ თითქო ერთი და იგივე სული ჩაუდგა ორივეს, ერთისა და იმავე ჰაზრებისა, გრძნობებისა და სურვილების გამომღები სული მოქმედი.

ამ შემთხვევაში, ფეფიკოს ბედზედ ოცნების დროს, ვაჟკაცის ფიქრი გადაფრინდებოდა თბილისში და თავს ევლებოდა იმ ბატონურ ბინას, რომელშიაც განსცხრებოდა მისი ნაამხანაგარი და აწც მისი მეგობარი პეტრე. მართლა და ნუ თუ კარგი არ იქნებოდა, რომ მისი ქალი და პეტრე იოსების ძის შვილი ლადიკო გასცნობოდნენ ერთმანეთს, დაახლოვებოდნენ, დაკავშირებოდნენ. დიდი მოხელეს ვაჟი აუცილებლად მამის კვალს დაადგებოდა, მამის მფარველობით დაიწყებდა სამსახურს და მისი შემწეობით მალე მიაღწევდა საპატიო ადგილს საკმაყოფილოს. მართალია, თვით მამასავით დიდი უფლებებით არ არის ის შეჭურვილი, მაგრამ ძლიერთა მფარველობა და ხელმძღვანელობა უფლებათა ოდნობას გაუწევს. იმასაც რომ მამასავით უაღრესი უფლებები ჰქონოდა შეძენილი, მაშინ პორფირეს ნატვრა მთლადაც უსაფუძვლო შეიქმნებოდა: მაშინ ის ერთობ მაღლა-მაღლა დაუწყობდა საცოლოს ძებნას. ბიჭი კარგი სჩანდა, თვალდ-ტანადი და ეხლა მთლადაც დავაჟკაცდებოდა, უფრო მეტად დამშვენდებოდა.

პორფირეს ცოლი სალომეც თავის ქალის ბედს ლადიკოს უახლოვებდა, მაგრამ მის სურვილს უფრო მეტადა ჰქონდა ოცნების ფერი და ნატვრის ხასიათი, რადგან ქალის წარმოდგენით პეტრე იოსების ძის ოჯახი მეტად მაღლა იდგა თავის ხარისხით, მათთვის მიუწდომელ სიმაღლეზედ.

— შვილი უსათუოდ მამის კვალზედ წავა: შევა სამსახურში და დიდების გზას დაადგება დიდკაცი. ცოლსაც შესაფერს მოსძებნის, ფულიან ქალს, გავლენიან ნათესაობის მეყოლს. რასაკვირველია: ყველას თავის ტოლი მისადევარი უნდა. ქრთამის დახარბება რომ შეგვეძლოს და მზითევისა, მაშინ სხვა იქნებოდა. იმდენს რას მივცემთ ქალს, რომ იმისთანა გამოჩენილი კაცის შვილი მოვინადიროთ და ხელში დავიჭიროთ,—ამბობდა დედა თავის გულში

და ენანებოდა, რომ ესე ძნელი იყო ნატვრის აღსრულება. ცოლქმარი ერთნაირად ფიქრობდა ამ საგანზედ, ერთმანეთს სიტყვასაც გადაუკრამდნენ ხოლმე ამ საქმეზედ, მაგრამ მაინც ჯერ განცხადებულად არ უზიარებდნენ ამ სურვილს ერთმანეთს, არც ნატვრის ყვავილსა ჰხსნიდნენ ფარდას, თუნდაც გამჭვირველს, რომ დასრულებული სახე მიეღო მათს მისწრაფებას და პირდაპირ მოქმედების გზაზედ დაეყენებინა მეუღლეები. საქმით კი ჯერ მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა ეს მათი ლტოლვილება, რომ შიგადაშიგ მოსაკითხს უგზავნიდნენ პეტრეანთ, მსუქან ზღვენს, პოხიერს და საიასაღოს, რაიც ისე სანუკვარი იყო ქალაქელებისათვის; იქაურები ხომ, კარგი შემოსავლის მექონნიც, როგორლაც დახაცინებულნი არიან და დამსრიტულნი, სოფლიდან მინატანზედ უჭირავთ.

— რადა?

— რა ვიცი რადა! იქნება იმისთვისაც, რომ მხოლოდ ბაზრიდანა სცხოვრობენ, ყოველ ჟამს სასწორზედ დაყრდნობილნი და თვალი აქვსთ გატეხილი, გული ვერ აჰსუყებიათ.

ბატონი პეტრე იოსების ძეც აფასებდა ნაამხანაგართან თვის მეგობრულ ურთიერთობას. ბუნებით რბილი მისი გული მეგობარს ეძებდა გულწრფელად მოსიყვარულეს და მით უფრო, რომ თვის გარშემო მხოლოდ პირსაფერ თაყვანისცემასა ჰხედავდა და მლიქვნელობას უტიფარს, რომელთ გადაღმა მხოლოდ შური გამეფებულიყო და სისინებდნენ ბოროტი სურვილები. ეს მძლავრი ხელისუფალიც თავის მხრივ სცდილობდა რითიმე გადაეხადნა პორფირესათვის პატივცემა, ესიამოვნებინა მისთვის და თუ საქმენი რამ საქმე უჩნდებოდა სამმართველოებში, ის თვისი პირადი გავლენით სწრაფად უხერხებდა ყველაფერს და ჰჩარხავდა. ამ ორ ოჯახის ამგვარ ურთიერთობაში განვლეს წლებმა და იმათი ქალ-ყრმა მთლად მოიწიფნენ, დასრულდნენ და უკვე მზად იყვნენ დასდგომოდნენ საკუთარ ცხოვრების გზას, გარემოებებიც ისე მარჯვედ მოეწყნენ ამ ხანში, რომ ამ ორმა სახლობამ ერთად მოიყარა თავი და ახლო გაეცნო ერთმანეთს. და ეს შეხვედრა ფრიად შედეგიანი შეიქმნა ორივე სახლობისათვის, თუმცა ისე კი არა, როგორც ისინი ფიქრობდნენ.

— იცი, ქალო, რა ახალი ამბავი უნდა გითხრა,—მიჰმართა პორფირემ თავის ცოლს.

— რა უნდა მითხრა, ან რა მომხდარა ისეთი, რომ ეგრე ნასიამოვნები შემობრუნდი შინ?

— ის უნდა გითხრა, რომ პეტრე იოსების ძე თავისი სახლობით წყაროიანში ჩამოსულა საავარაკოდ; მთელ ზაფხულს თურმე აქ გაატარებს.

— მართლა? საკვირველია! ის ხალხი სულ რჩეულ და ძვირფას ადგილებში ატარებენო ზაფხულს და ეხლა ჩვენსკენ რამ წამოიყვანა?!

— ვინ იცის, რა მოსაზრებით გამომგზავრებულან აქეთ. მაგრამ ან კი რა განსაკუთრებული მოფიქრება უნდა: ნუ თუ საქართველოს გარედ მდებარე ადგილები ემჯობინება თავის სიმშვენიერით, კეთილშეზავებული ჰაერით და სიუხვით თუნდ ჩვენ წყაროიანს. ჯერ ერთი მისი წყალი რადა ღირს, ცრემლივით წმინდა, მყინვარე წყაროები,—სთქვა კაცმა

და განაგრძო:

— იცი, ქალო, ყოველ შემთხვევაში საჭირო იქნება ვინახულოთ ის კაცი და ერთი ორი დღით კიდეც დავპატიჟოთ მთელი ოჯახობით ჩვენთან.

— უსათუოდ! დიალაც რომ უნდა დავპატიჟოთ. მოდი ელიაობას მოვიწვიოთ, ჩვენი ხატობის დღეს; მაინც ხომ ბევრი სტუმრები გვეყოლება იმ დღეს,—მიუგო ცოლმა.

და დაასკვნეს ახლო გასცნობოდნენ აქამდისინ შორიდან დამეგობრებულ პეტრე იოსების ძის ოჯახს,

**ვ. ბარნოვი.**

(შემდეგი იქნება).

---

*) იხ. „საქართველო“ № 234.

**„ტაიმს“-ის აზრი.**

დობრუჯაში ბრძოლის ხაზის შემოკლება, რა თქმა უნდა, იმას არ მოასწავებს, რომ რუმინელებს შეეძლოთ აქედან მთელი თავისი თავისუფალი ჯარი ტრანსილვანიაში გადაიყვანონ. პირიქით რუმინელები ფხიზელ დარაჯად უნდა იდგნენ მდ. დუნაის მთელ სანაპიროებზე, რომ მოულოდნელი რამ მარცხი არ მოუვიდეს და დობრუჯიდან მაკენზენის ჯარი დუნაის გაღმა არ გაჩნდეს.

ჰინდენბურგს დასავლეთისაკენ გადაჰყავს ჯარი. მაგრამ, თუ მოკავშირეებმა შესაფერად ისარგებლეს დასავლეთის ასპარეზზე მოპირდაპირის ჯარის შეთხელებით, ჰინდენბურგი საქმეს წააგებს. ჰინდენბურგი მხოლოდ ეხლა აკეთებს იმ საქმეს რაც გაზაფხულზე უნდა შეესრულებინა. მან 8 თვით უკვე დაიგვიანა.

**ვილსონის კანდიდატურა.**

ვაშინგტონიდან იტყობინებიან: შეერთებულ შტატების პრეზიდენტის არჩევნები მოახლოვდა. ამ საქმის გარშემო დიდი მოძრაობა და მზადებაა, ამ ბოლო დროს ამერიკაში მობინადრე გერმანელებმა ვილსონის მიმართ აზრი შეიცვალეს. ეს მოხდა მას მერე, რაც ვილსონმა წყალქვეშა ბრძოლის წინააღმდეგ სიჩუმე არჩია. ეხლა ამერიკელი გერმანელები ვილსონის კანდიდატურას ემხრობიან.

**გემის დაღუპვა.**

ლონდონიდან იტყობინებიან: გერმანელების წყალქვეშამ დაჰლუპა დანიის გემი „ალზ“-ი. ზედ მყოფნი გადაარჩინეს.

# უკანასკნელი დეპეშები

**რუსეთის სამხრეთ - დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა მეტად გაცხოველებულა. ვლადიმირის და ხოკალსკის მიმართულებით ოპერაციები გრძელდება, აქ ინიციატივა რუსებს ეკუთვნით.**

—

**მოლდავიაში მოწინააღმდეგე, როგორც ჩანს, შეჩერდა და ელის, თუ დორნა ვატრის მიდამოებში ბრძოლა რა ხასიათს მიიღებს. ვალახიაში მოწინააღმდეგეს სასტიკი იერიშები მიაქვს სუპრანის, კიმპულუნგის და ბუშტენის რაიონში. მაკენზენის ჯარი დუნაიზე ჯერ არ გადასულა. რუსებს და რუმინელებს, კერძო ცნობებით, მოქმედება განუახლებიათ.**

—

**„ნოვ. ვრ.“ ცნობით, გერმანული გაზეთები ხცდილობენ საზოგადოება დაამშვიდონ და სწერენ, ვითომც გერმანეთი და რუსეთი მორიგებულიყვნენ დარდანელის საკითხში.**

---

კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება: რომაელთა განცხრომა, ჰინდენბურგი, კონსტანტინე და კაიზერი; ვენიზელოსი, დაჰრილნი და ომში მონაწილენი. კარიკატურები თედო ღლონტის შექმნაზე. ლექსები: „ვალიკო“, შ. მღვიმელისა, დ. კობალისა და გ. ლეონიძისა. გულნიჰალი, თარგ. მაჰმედ-ბეგ აბაშიძისა, შემოდგომის ხევდა ვ. ბუ—ისა.

---

# ახალი ამბავი

**სასახლეში.**

✦ **მეფის ნაცვალს** სადარბაზოდ წარუდგნენ შავი ზღვის პირის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე ინჟ. მეტრენინსკი, მთავარი ინჟინერი და ამ გზის გამყვანი ინჟ. ნიკოლაევი და პოლკ. ვერდერევსკი.

✦ **მეფის ნაცვლის უავგ. რძალს** მილიცა ნიკოლოზის ასულს წარუდგა აგრონომი ა. ს. ფირალოვი.

**ქართული დაწესებულებანი**

✦ **კრება.** ხვალ, 23 ღვინობისთვეს, დილის 11 საათზე წმ. მარინეს ეკლესიის სკოლაში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების ავლაბრის ბიბლ - სამკითხველოს საზოგადო კრება, რომელიც არ შესდგა 16 ღვინობისთვეს წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

✦ **ქართ. ქალთ. საქველმ. საზოგ.** ჭრა-კერვის სკოლის გამგეობა დიდ მადლობას უხდის ნოე გლახას ძე სიხარულიძეს, რომელმაც ხსენებული სკოლის მომავალი შენობისათვის შესწირა თორმეტ თუმან ნახევარი (125 მან.)

✦ **ქართ. საქველმოქ. საზ. გამგეობამ** თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა: 1) ეთხოვოს თავმჯდომარეს ბ-ნ მ. ვ. მაჩაბელს გაემგზავროს პეტროგრადს საზოგადოების საქმეების გამო რაც შეიძლება ამ მოკლე ხანში. 2) დაევალოს საზოგადოების ექიმს ბ-ნ ბენაშვილს და საზოგადოების მდივანს ბ-ნ ჰ. საყვარელიძეს გაემგზავრნენ ახალციხის და არდანუჯის მხარეს ამბულატორიის შესაფერ პუნქტის ამოსარჩევად. ამბულატორია გადაწყდა გაიხსნას ან უდე-ფოცხოვოში ან და არდანუჯში. 3) უფროს ხელოსნად ს. ხულოში არსებულ სახელოსნოში დაინიშნა ბ. გოჩიტაშვილი.

✦ **ბათომის რაიონულ განყ.** გამგეობა ატყობინებს დეპეშით ქ. საქვ. საზ. მთავარ გამგეობას, რომ ლაზისტანში კვლავ ბ. კობახიძესა ვგზავნითო.

✦ **დაბრუნების შემდეგ.** ქ. საქველმოქმედო საზ. გამგეობამ აჭარელ ლტოლვილ ყალთან ეუბის ძის ბერიძისაგან, რომელიც ამ ჟამად დაბრუნებულა თვის სახლკარში, მიიღო თხოვნა. საგულისხმო ცნობებს აწვდის აჭარელი ბერიძე გამგეობას. განაწამებ აჭარლის ბერიძის ოჯახი შესდგებოდა მოხუცი მამის, ცოლის, ძმის და 4 მცირეწლოვან ბავშვისაგან. „გადავიხიზნეთ, სწერს ბერიძე, ქედის საზოგადოებისაგან სადღაც შორეულ მთიებში. ერთი თვის შემდეგ, როცა მდგომარეობა ცოტათი გამოირკვა, ჩემი მამა და ძმა დაბრუნდენ. შემდეგ მეც დავბრუნდი ოჯახით, მაგრამ ძმა მოკლული დამხვდა იქვე დაბანაკებულ პირთა მიერ. მამაჩემი კი გადარჩა. ჩემი სახლკარი სულ მთლად აწიოკებული დამხვდა: სახლი დამტვრეული, ხეხილები გადაჩეხილი, სკები დანგრეული, შინაური პირუტყვები და ფრინველები გაწყვეტილი, ოჯახის ავეჯეულობა მთლად დამტვრეული, ერთი სიტყვით, მთელი ჩემი მრავალ წლობით ნაშენი კარ-მიდამო სავსებით განადგურებული. ასე რომ ამ ჟამად ქრონიკულ სიმშილს განვიცდით. დასასრულ, აჭარელი ბერიძე შველას სთხოვს ქარ. საქველმ. საზ. მთავარ გამგეობას.

**მთავრობის დაწესებულებანი**

✦ **საკვები საქმე.** დღეს, 22 ღვინობისთვეს, დანიშნულია საკვებ საქმის თაობაზე თათბირი, რომელიც განიხილავს იმ დეფექტებს, რომელიც მეფის ნაცვლის საბჭოს წევრის ი. ნ. პროტასიევის რევიზიამ აღმოაჩინა.

✦ **სახელმწიფო შემნახ. კასა.** თბ. საფოსტო კანტორასთან არსებული შემნახველი კასა ხვალიდან, 23 ღვინობისთვიდან, დამოუკიდებელ ცენტრალურ კასად არის გადაკეთებული. კასა შემდეგ ოპერაციებს აწარმოებს: მიღება და გაცემა ფულისა, განუსაზღვრელ რიცხვისა, სახელმწიფო %% ქაღალდების გასყიდვას, ყიდვა-გასყიდვას სახელმწიფო ხაზინის ქაღალდებისას, ვადიან კუპონების დახურდავებას, სახელმწიფო %%-იან ქაღალდების მიღებას შესანახად, აგრეთვე სიცოცხლის, შემოსავლის და კაპიტალის დაზღვევას. აწარმოებს კასა დილის 8—2 საათამდე და კვირა-უქმეებში 8—10 საათამდე.

**ქალაქის დაწესებულებანი.**

✦ **ქალაქის საყასბოს დირექტორმა** აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ყასბებს გირვანქა ძროხის ხორცი, თანახმად საყასბოს ცნობებისა, უჯდებათ 27,6 კაპ. ხოლო ცხვრისა 33,6 კ.

✦ **ნავთის ხიძვირე.** ნავთის მწარმოებლებმა ქალაქის გამგეობას მიმართეს თხოვნით ამ ნაწარმოებზე ნიხრის მომატების შესახებ, ვინაიდან აქციზის შემოღებით ნავთზე 30 კ. და ბენზინზე 70 კ. მათ წინანდელ ფასებში ვაჭრობა არ შეუძლიათ. გარდა ამისა მანქანების ზეთზე, რომელზედაც დღეს ნიხრი 3 მანეთს უდრის, ისინი თხოულობენ ნიხრის მომატებას, რადგან თვითონ მათ 3 მ. 60 კ. უჯდებათ.

✦ **ხოლერა.** გუშინ, 21 ამა თვეს, ქალაქის ლაზარეთში 9 ხოლერიანი ღა დარჩა. 20 ამა თვეს გარდაიცვალა 1 და გაეწერა ლაზარეთიდან 10 კაცი.

**სხვა და სხვა ამბები.**

✦ **ახირებული ქურდები.** ქურდებმა ეხლა სხვა ხერხს მიმართეს: ისინი ელექტრონის ზარების და სინათლის გამკეთებელ ხელოსნების სახით შედიან სახლში და შემდეგ ჰქურდავენ ბინებს. 1) ფრეილინის ქ. კოლეჟსკი სოვეტნიკ მ. კ. ნახაფეტოვის ბინას ესტუმრა ამ დღეებში ერთი ვაჟბატონი, სუფთად ჩაცმული და განუცხადა, რომ სახლის პატრონმა გამომგზავნა ელექტრონის ზარების შესაკეთებლად. როცა ნახაპეტოვი სადილობდა ცოლთან ერთად, სამუშაო ოთახში უცნობმა ხელი მოუსო სამწერლო მაგიდას, ამოიღო ორი ოქროს საათი, ღირებული 260 მანეთად, ვერცხლის საათი 20 მან. პორტმანი 15 მანეთით და წასულა.

2) მიხეილის ქუჩაზე პ. ა ტიზენგაუზენის ბინაზე ქურდებს გაუტეხიათ რკინის ყუთი და 40,000 მან. ძვირფასი ნივთეულობა წაუღიათ.

3) ბათომის ქუჩაზე ო. გ. გარაყანიძის ბინა გაუტეხიათ და 290 მანეთის ღირებული ნივთეულობა წაუღიათ.

4) ანდრეევის ქუჩაზე ა. გ. ნაკაიძის ბინიდან ქურდებს 400 მან. ნივთეულობა წაუღიათ.

✦ **თავდასხმა.** კრწანისის მებაღე ა. ო. ჩარგოლაშვილს, როცა იგი ქალაქში მოდიოდა, თავს დასხმიან სამი უცნობი პირი და „ხელების მაღლა“ აწევა უბძანებიათ. როცა მას ბრძანება შეუსრულებია, ამოუცლიათ ჯიბიდან 192 მან. შეუხსნიათ ვერცხლის ქამარი და როცა ჩარგოლაშვილს რევოლვერი შეუნიშნავს ერთ თავდამცემისთვის უტაცნია ხელი და რევოლვერის წართმევა მოუსურვებია, ამ დროს რევოლვერი გავარდნილა და ჩარგოლაშვილს ტყვია ფეხში მოხვედრია, სროლაზე უცნობები გაქცეულან.

✦ **უეცრივ გარდაიცვალა** მ. კირილოვი 50 წლისა, გვამი მიხეილის სახელობის საავადმყოფოში გაასვენეს.

✦ **უპასპორტონი.** შეიპყრეს სხვა და სხვა უბანში 14 კაცი, რომელთაც პასპორტი არ აღმოაჩნდათ.

✦ **გაქურდეს** ჯ. ბ. თათეოსოვის ბინა და 781 მ. ნივთეული წაიღეს.

✦ **წვრილ კრედიტის ინსპექტორი** თ-დი გ. ნიჟარაძე საინგილოში მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა. თ-დ ნიჟარაძეს დაუთვალიერებია მისდამი რწმუნებული საკრედიტო დაწესებულებანი და სხვათა შორის ინგილოთა ყოფაცხოვრებას გასცნობია და მრავალი საგულისხმიერო ცნობები შეუკრებია. თ-დ ნიჟარაძისთვის თხოვნა მიურთმევიათ ლაგოდეხთან ახალ წვრილ საკრედიტო დაწესებულების დაარსების შესახებ.

✦ **თბილისში ჩამოვიდა** ბათომის ქ. საქვ. საზ. რაიონულ განყოფილების წევრი ბ-ნი კაპიტონ გოგოლაძე; მათი სიტყვით იქაურ ქალაქთა კავშირი აარსებს ბათუმში დიდ საწყობს, რომელიც მთელ ბათომის ფრონტს გაუწევს სამსახურს. აგრეთვე არსდება დიდი სახელოსნო, რომელიც ლერწმის ავეჯეულობას დაამზადებს. ორთავე დაწესებულებათათვის საჭიროა მრავალი მოსამსახურე, რომელთაც სამსახური ჩეეთვლებათ ჯარში გაწვევის დროს.

✦ **სამკურნალო მცენარეულობის** მომშენებელმა და შემკრებმა ორგანიზაციამ გაგზავნა დასავლეთ ბრძოლის ასპარეზზე მხედრობათა საჭიროებისათვის 3,000 ფუთი ალუჩის ტყლაპი, ხოლო კავკასიის ასპარეზზე 105 ფუთი. რუსეთის სხვა და სხვა ადგილას გაგზავნა გასახმობ ბოსტნეულში ასარევად 2,000 ფუთი დაფნის ფოთოლი. ორგანიზაციამ აგრეთვე დაურიგა საცდელ დაწესებულებათ და 18 სკოლას სამკურნალო მცენარეულობის თესლი სანერგის გასაშენებლად.

✦ **დღეს** საღამოს, სახ. სახლ. არს. ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება: დიმოვის დრამა „ისმინე ისრაელ“ და „დავა“-ს მეოთხე მოქმედება. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 10 კ.—50 კაპეიკამდე.

✦ **ხორბალი კახეთისათვის.** თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისთვის ნავთლუღში მოსული 51 ვაგონი ხორბალი გაიგზავნება ამ ათ დღეში (11—20 ღვინობისთვემდე). ამ ხორბალს თელავში ფუთს თორმეტ აბაზად გაჰყიდიან.

✦ **ქურდობა თბილისის სადგურზე** დღითი-დღე პირდაპირ ეპიდემიურ ხასიათს იღებს. ქურდების ოინებს ბოლო არ უჩანს, დღისით მზისით რასაც უნდა სჩადიან. ქურდთა შორის ახლა საპატიო ალაგი მანდილოსნებსაც უჭირავთ: 1) 18 ღვინობისთვეს მეეზოვე კონსტ. დეკანოზიშვილის მეუღლე ოლღას, რომელიც დედაკაცებ შუა მდგარა კასასთან, ჩანთიდან უკანასკნელი ფული ამოუცლიათ; 2) სტუდენტ მიხ. ვას. მანსვეტაშვილს, რომელიც ის-ის იყო კიევიდან დაბრუნებულა სადგურზე, ამხანაგისთვის მიუნდვია თავისი ბარგი და თვითონ წასულა იქვე ბუფეტში წყლის დასალევად. ვიდრე დაბრუნებულა ვიღაც უცნობებს მოუპარავთ მთელი ბარგი ძვირფასი ნივთებით და ავეჯეულობით.

✦ **ხელმწიფე იმპერატორის ტახტზე** ასვლის დღეს, გუშინ, სამხედრო ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი საქართველოს ექსარხოსისა, ეპ. ანტონისა, დამიანეს და ქალაქის სამღვდელოების მიერ. პარაკლისს დაესწრნენ მათი უმაღლესობანი მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უავგ. ოჯახობით, წარმომადგენელნი მთავრობის, თავადაზნაურობის, ქალაქის და სხვა საპატიო პირნი.

✦ **დაჭრილ და დაავადმყოფებულ ჯარის კაცთა ევაკუაცია.** დღეს, 22 ღვინობისთვეს, თბილისიდან ჩრდილოკავკასიაში გაისტუმრებენ სანიტარულ ვაგონს № 310, რომელსაც თან მიჰყვება 700 დაჭრილი და დაავადმყოფებული ჯარის კაცი, ოსმალეთის ბრძოლის ასპარეზიდან მოყვანილი თბილისში.

✦ **სკოლების რეორგანიზაცია.** გამგეობა და სექციები თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა საზოგადოებისა გუშინდლიდან შეუდგა დაწვრილებითი პროექტის შემუშავებას არა რუსთა სახალხო სკოლების რეორგანიზაციის შესახებ.

✦ **პროტოპრესვიტერ შაველსკის** დღეს მოელიან ბრძოლის ველიდან.

✦ **დ. ლუკიანოვი.** როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ გარდაცვლილა დამსახურებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე დავით ლუკიანოვი.

✦ **მოსკოვის სათავადო სამხედრო სამრეწველო** კომიტეტის სხდომა 21 ღვინობისთვეს შესდგა. თანახმად მთავარ რწმუნებულის ე. ბ. კანდელაკის ინსტრუქციისა შემდეგი დადგენილება გამოიტანა კრებამ: გაიგზავნოს სახელოსნოების გამგენი ბ. პაჩულიძე ქუთაისის გუბერნიაში და ბ. კაპანაძე გორის მაზრაში ხელოსნების საშოვნელად: მეჩექმეებისა, თერძებისა, შორნიკებისა განსაზღვრულ პირობებით.

**სომეხთა შორის.**

✦ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტს** დეპეშით ატყობინებენ იგდირიდან, რომ ვანის რაიონში სურსათი აღარ მოიპოვება, მშიერი ხალხი სასურსათო მაღაზიებთან თავს იყრის და პურს თხოულობსო. იგდირიდან გაუგზავნიათ იქ 500 ფუთი ფქვილი, 502 ფუთი შაქარი და 1000 გირვანქა ჩაი. ასეთივე ამბავი მოუვიდა კომიტეტს ბაიაზეთიდანაც,

✦ **ფქვილის გაგზავნა.** გენერალმა თამამშევმა ნებადართო გადმოხვეწილ სომეხთათვის გაიგზავნოს ერევანს 2 ვაგონი ფქვილი.

✦ **გადმოხვეწილებზე ზრუნვა.** გენერალმა თამამშევმა წინადადება მისცა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას დაუყონებლივ შეიძინოს მოსკოვში 200 ათასი მანეთის თბილი ფართალი გადმოხვეწილ სომეხთათვის საზამთრო ტანისამოსების შესაკერად. საზოგადოებამ წინადადება შეიწყნარა და თავისი აგენტები გაგზავნა მოსკოვში. აგრეთვე საზოგადოება შეეკითხა ცნობილ თაღიევს, გვიშოვით თუ ვერა თქვენი საწყობებიდან 100.000 არშინ ბიასაო?

**ქუთაისი.**

ამ ორიოდე წლის წინად ადგილობრივ კაპიტალისტთა ერთმა ჯგუფმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა რიონის ძალის გამოყენება და ელექტრონის სადგურის მოსაწყობად კონცესიის მიცემის შესახებ. საქმე გრანდიოზულია და დიდი სარგებლის მომტანი, როგორც კაპიტალისტებისათვის, ისე კიდევ მცხოვრებთათვის. ზემოხსენებულ ჯგუფისათვის მეტოქეობა გაუწევიათ უცხო კაპიტალისტებს, რომელთაც მხარს უჭერს ერთერთი ცნობილი და ძლიერი ინგლისური ფირმა. ეხლახან პირველმა ჯგუფმა პეტროგრადს განსაკუთრებით საქმეების მოსაგვარებლად კაცი გაგზავნა.

— ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით უკვე დაიწყო იაფ ფასიანი სახალხო ლექციების კითხვა ქალაქის თეატრში. ლექციებს მრავალი ხალხი ესწრობა, გულდასმით ისმენენ. დარბაზში აღარა აქვს ადგილი იმ უწესობას, რომელიც წინა წლებში ხდებოდა ხოლმე.

— ქართ. საქველმოქ. საზოგადოების გამგეობის მდივანი ია. ეკალაძე, 10 დღით აჭარაში მიემგზავრება საქვ. მოქ. საზოგადოების მიერ იჯარით აღებულ მამულების შემოსავლის შესამოწმებლად და მოსავალის გასაყიდათ.

— ქუთაისში მოსულ კაპიტალისტთა ერთ ჯგუფს აზრადა აქვს ადგილობრივ დაარსოს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ბანკი.

— ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დირექტორი, ბ. ამისოვი გადაყვანილ იქმნა ბაქოს მესამე გიმნაზიის დირექტორად.

— გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ოტ. ნიჟარაძე 17 ოქტომბერს პეტროგრადს გაემგზავრა.

— 17 და 18 ამ თვეს კვლავ პურის სიმცირე ჩამოვარდა. დილიდან საღამომდის ფურნეებთან და თორნეებთან აუარებელი ხალხი სდგას. პური სრულიად მოუზელავი და ცუდი ხარისხის ცხვება.

**ბორჩალო.**

**მკვლელობა.** ს. ბაშკოვსა და აჯევან სარვან შუა გაუქურდავთ და შემდეგ მოუკლავთ ასკარ გიასუმ-ოღლი თავის მეზობლებს ალი ორუჯ-ოღლის და ამირასტან ნაბი-ოღლის.

**ფოთი.**

— მოკლე ხანში გაიხსნება აკაკი ხოშტარიას სავაჭრო კანტორა ხეტყის ვაჭრობის საწარმოებლად.

— ზუგდიდის გზაზე ყაჩაღთა თარეშის გამო იმდენად გაძნელდა მოგზაურობა, რომ სოხუმიდან ფოთში მომავალი ხალხი ზღვით მოგზაურობს.

**დ. ხონი.**

14 ოქტომბერს ვაჭარი პავ. ივ. ჩხენკელი სავაჭროს დაკეტვის შემდეგ საღამოთი ეტლით სახლში ბრუნდებოდა, რომ მოულოდნელად მას თავს დაეცა რამდენიმე გიმნაზიელთა ტანთსაცმელში გამოწყობილი ბოროტ-გამზრახველი. წაართვეს ფული. ჩხენკელი ფეხში დასჭრეს და მიიმალნენ. ყაჩაღებს დაუტოვებიათ წერილი, რომელშიაც ამბობენ, რომ მათი ჯგუფი ფრიად ძლიერია და თავისუფლად თარეშობენ; ბოლოში რამდენიმე კაცის გვარია მოწერილი. ამ გვარის კაცებს ადგილობრივ ყველა იცნობს.

**გ უ რ ი ა.**

საქონლის ჭირი არ კლებულობს. ოზურგეთი შეკრულია. მეურმეებს ქალაქში არ უშვებენ, რის გამო ბაზარში შეშა აღარ შემოაქვთ. ქათმის ჭირიც ბევრ ადგილას არის მოდებული.

— **დახმარება მასწავლებლებს.** გურიის სამრევლო სკოლის მასწავლებლებს მთავრობიდან მოუვიდათ იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის დღიური და 8 ათას 400 მან. დამატებით, დახმარება სულ 14 ათასია, რომელსაც ამ დღეებში დაურიგებენ. ამრიგად ამიერიდან მასწავლებლებს თვიურად (გარდა დღიურისა) ემატებათ თითო თუმანი. დღიურიანებ სულ მიიღებენ 64 მან.

**ხულო** (აჭარა).

სამინისტრო სკოლაში ჯერ სწავლა აღ დაწყებულა. ხულოში მთავრობამ სკოლის გახსნა საქველმოქმედო საზოგადოებას არ დაანება იმის გამო, რომ იქ ჩვენი სკოლა არისო და ვერც თითონ მოუწყვია. გვაგონდება ანდაზა ავი ძაღლისა.

**თელავი.**

ქალაქის მოურავმა მიიღო თბილისიდან 1 ვაგონი შაქრის ფხვნილი.

— ს. არუთინოვს ქურდებმა გაუტეხეს მარანი, მოჰპარეს 2 ტომარა ხორბალი და 1 ფეჩი.

— დ. ვართაზაროვს გატეხეს მეწვრიმლნის დუქანი და მთელი საქონელი გაზიდეს.

— ალ. ჯიბლაშვილს ღამით შეუცვივდნენ სახლში რამდენიმე უცნობი ბოროტ-გამზრახველ, გაალებინეს იქვე სახლის წინ მოდგმული ფართლის დუქანი, აირჩიეს რამდენიმე თოფი სხვა და სხვა ჯურა საქონელი და წაიღეს.

— შემ.-გამ. ამხანაგობამ მიიღო 3 ვაგონი ფქვილი.

# ერთი საშუალება თეატრის აშენებად

(წერილი რედაქციის მიმართ)

უმწეო მდგომარეობამ ქართული თეატრისამ აალაპარაკა საზოგადოება. ამ ლაპარაკის დროს ბევრი რამ გამოირკვა, მაგრამ რაც იქნება ეხლანდელ მდგომარეობაზედ ცხადი და გამორკვეული: თეატრი არა გვაქვს! ამაზედ უცხადესი და უსაშინელესი ჩვენ მდგომარეობაში მყოფ ერისათვის არა არის რა.

გავიდა ორი წელი და ამ ხნის განმავლობაში თითქმის არა გაგვიკეთებია რა. თავს ომიანობით ვინუგეშებთ და ეს ნუგეში იმდენად დამამშვიდებელია ჩვენთვის, რომ საქმე, მთლად თუ არა, ნახევრად გაკეთებული მაინც გვგონია. მაგრამ კმარა თავის მოტყუილება. დროა რამე ვიღონოთ!

მომავალ თეატრისთვის ფიქრი ყველას მართებს. მეც, ამ სტრიქონების დამწერი, ნებას მივცემ ჩემ თავს და ერთ საშუალებას გავაცნობ საზოგადოებას, იმ საშუალებას, რომელიც, უეჭველია, დიდ ენერგიას მოითხოვს ჩვენგან, მაგრამ, რომელიც ძალიან დაგვიახლოვებს ბედნიერ დღეს საკუთარი თეატრი ავაგოთ.

ეს საშუალება გახლავთ **იაფ-ფასიანი ლოტარია.**

თუ კი ჩვენ შევსძლებთ მთავრობისაგან ნება-რთვის აღებას—და ეს არც ძალიან ძნელი საქმე იქნება—იმ შემთხვევაში, მე ვამტკიცებ, სულ მოკლე ხანში დიდ თანხას მოვაგროვებთ.

აი, როგორ. უნდა ავიღოთ ნებართვა სამი მილიონი მანეთის ლოტარიის ბილეთების გამოცემისა. ბილეთი უნდა ეღიროს არა **უმეტეს ერთი მანეთისა.** ეს სიიაფე ბილეთისა ნებას მისცემს ღარიბ მასსამაც მიიღოს მონაწილეობა ლოტარიაში. უნდა მოუხმოთ ჩვენში თუ უცხოეთში მყოფ შეგნებულ ქართველს. სოფლად მღვდლები და მასწავლებლები უნდა ავამოქმედოთ. ერთი სიტყვით, უნდა შევქნათ ფართო ქსელი აგენტებისა: და თუ კი ეხლა მრავლად არიან ისეთნი, რომელნიც თავიანთ წვლილს არ ზოგვენ თეატრისათვის, მაშინ, როდესაც მათ ექნებათ თუნდაც სულ მცირეოდენი შესაძლებლობა რაიმეს მოგებისა, უფრო ხალისით არ გაიღებენ თავიანთ წვლილს? შეიძლება ვსცდებოდე, მაგრამ მგონია, რომ საქმე ბილეთების გაყიდვისა კარგად წავა.

ეხლა ვიანგარიშოთ, რამდენს მოგვცემს ეს კომბინაცია:

ბილეთების გაყიდვისაგან ავიღებთ 3.000,000 მანეთს.

ხარჯი:

| | |
|---|---|
| 1) მომგები ბილეთების დასაფარავი . . | 500,000 მ.*) |
| 2) საქველმოქ. საზოგ. 10% ომისაგან დაზარალებულ ოჯახებისათვის . . | 300,000 მან. |
| 3) საქმის მოწყობა დ ყოველნაირი მოსალოდნელი და მოულოდნელი ხარჯები . . . . | 200,000 მან. |
| სულ | 1.000,000 მან. |

ასე რომ, რაც უნდა არ მოვერიდოთ ხარჯებს, წმინდა მოგება ორი მილიონი დაგვრჩება, რაიც ჩვენ საქმეს ეყოფა.

ეს აზრი დიდი ხანია თავს დამტრიალებს, მაგრამ მისი განცხადებისა, არ ვიცი რატომ, მეშინოდა. უთუოთ იმისთვის, რომ ბევრს ეუცხოვება იგი, რადგან ამგვარ რამეს ჩვენ დაჩვეულნი არა ვართ, თუმცა ევროპის დიდი უმრავლესი ნაწილი კულტურულ დაწესებულებათა ამ საშუალებით იჩენენ სალსარს არსებობისას.

ეხლა ვხედავ და თუ საზოგადოება დაინახავს მისს არა უნიადაგობას და ყურად იღებს—ბედნიერი ვიქნები მისთვის, რომ იმედი მომეცემა ჩვენ ეროვნულ ტაძარში შევიდე და იქ წმინდა ხელოვნებით ვეზიარო.

**თეატრის მეგობარი.**

# საქარის სანერგე იმერეთში და ჩვენი დეპუტატები

(წერილი ქუთაისიდან)

საქარის სანერგე ერთი საუკეთესო, სახალხო კულტურული დაწესებულებაა იმერეთის გულში, სადაც მევენახეობამეღვინეობის სამეფოა. იგი გაშენებულია ორი ვერსის მანძილზე დ. ყვირილიდან, სოფ. საქარის ჭალაში, რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ. ორასიოდე ნაბიჯის სიშორეზე.

ხსენებულ დაწესებულების დაარსება გამოიწვია იმერეთში უცხოეთიდან შემოტანილმა ვენახების გამანადგურებელმა სენმა—ფილოქსერამ, რომელიც მე-70 წლებიდან მოყოლებული სწრაფად მოედვა მთელ დასავლეთ საქართველოს ვენახებს და შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოშიც გადავიდა. დღეს კი ამ სენისაგან დაზარალებულია მთელი კავკასიის ვენახები, რამაც მილიონობით მიაყენა ზარალი სასოფლო მეურნეობას. მან არ დაინდო არც ერთი ჯიშის ვენახი, სულ ერთიანად გაახმო. საჭირო იყო დიდი ყურადღება და რადიკალური ზომები, რომ ამ სამეურნეო დარგის დაცემით სასოწარკვეთილებას მიცემული მკვიდრი გაემხნევებინა მევენახეობის ახალნაირის საშვალების აღდგენით.

ამ 25 წლის წინეთ მოევლინა საქართველოს რუსეთის უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელ დამთავრებული და საზღვარ-გარეთ მევენახეობას კარგათ გაცნობილი აგრონომი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი, რომელმაც დაამთავრა თუ არა მოსკოვის პეტროვის სამეურნეო აკადემია 1886 წელს და როგორც მომზადებული, მაშინვე დაინიშნა მთავრობის მიერ შავი ზღვის ნაპირების ოლქის აგრონომად. მაგრამ იგი აქ თავის მტკიცე ხასიათით და აზროვნებით ვერ შეეწყო იმ დროინდელ რუსის მთავრობის მოხელეს, თავის ცნობილ უფროსს ნიკიფოროვს და ვერც მის მიერ ადგილობრივ მკვიდრთა საზარალოთ ნაწარმოებ პოლიტიკას რუსების ამ მხარეში გადმოსახლებისას და რაკი ამ დროს ეს ოლქი გუბერნიათ გადაკეთდა, სტაროსელსკიც შტატგარეშე დარჩა. იგი შევიდა სამსახურში თბილისში სამიწადმოქმედო სამინისტროს უწყებაში აგ-

---

| | | | |
|---|---|---|---|
| *) ერთი | ბილეთი | —200,000 | მ. |
| „ | „ | —100,000 | მ. |
| „ | „ | — 50,000 | მ. |
| „ | „ | — 25,000 | მ. |
| „ | „ | -- 10,000 | მ. |
| სამი | ბილეთი | — 5,000 | მ. |
| ოთხი | ბილეთი | — 10,000 | მ. |
| თორმეტი | ბილეთი | — 500 | მ. |
| ასი | ბილეთი | — 300 | მ. |
| ექვსასი | ბილეთი | — 100 | მ. |
| | სულ | 500,000 | მ. |

რონომად, საიდამაც 1889 წ. სახელმწიფო გლეხთა ცხოვრების მომწყობმა ცნობილმა ტიხეევმა დანიშნა ყიზლიარის განყოფილებაში აგრონომათ და იქ მან პირველმა მიაპყრო ყურადღება მევენახეობას. მისმა პრაქტიკულმა ნიჭმაც ამ დარგში პირველათ აქ იწყო გაფურჩქვნა და მიიპყრო კავკასიის მთავრობის უფროსების ყურადღება. აქედან იწყება მისი დაახლოვება ხალხთან, რაშიაც იგი შემდეგ თავის საზოგადო მოღვაწეობაში ძალას გრძნობდა და უფრო და უფრო უახლოვდებოდა და უკავშირდებოდა მას.

აქ დასწერა მან თავის ცნობილი გამოკვლევა ყიზლიარის მკვიდრის ეკონომიური მდგომარეობისა, რომელიც მოხსენების სახით წარუდგინა სამიწადმოქმედო უწყების წარმომადგენელს კავკასიაში ტიხეევს და რომელიც შემდეგ დაედვა საფუძვლათ აგრონომთა მუშაობას ამ რაიონში. ტიხეევი ამ შრომამ განცვიფრებაში მოიყვანა და კავკასიის მაშინდელმა სამიწადმოქმედო სამინისტროს მოხელეებმა უკვე ნათლად დაინახეს, რომ მათ შორის ახალგაზრდა აგრონომი ვლ. სტაროსელსკი დიდ და, ყურადღებო საგრანომო ძალას წარმოადგენდა.

ამ ხანებში უკვე თავი იჩინა იმერეთში ფილოქსერამ, საჭირო შეიქმნა ამის წინაალმდეგ საბრძოლველ ორგანიზაციის მოწყობა. იმ დროს კავკასიის მთავრობის მოხელეთაგან აბა ვინ ივარგებდა და ვინ იკისრებდა მეურნეობაში ამ სახალხო საქმის მოწყობას, თუ არ ყიზლიარში თავის მუშაობით უკვე ყურადღება მიპყრობილი აგრონომი ვლ. სტაროსელსკი. სამიწადმოქმედო კავკასიის განყოფილებამ მაშინვე სტაროსელსკი აირჩია და დანიშნა ქუთაისის გუბერნიაში უფროს აგრონომად და ისიც 1890 წლიდან შეუდგა გულმოდგინებით თავის საყვარელ საქმის შესრულებას. ამ დღიდან მან ხელათ მოუყარა თავი თავის თანამშრომლებს და იწყო შესწავლა იმერეთის მევენახეობის და მისი ახალი გამანადგურებელი სენის— ფილოქსერის.

იმ ხანებში ორნაირი მიმართულება არსებობდა საზღვარ-გარეთ და რუსეთშიც ფილოქსერის წინაალმდეგ საბრძოლველათ. პირველნი იყვნენ „ისექტიცისტები", რომელნიც ქიმიური სითხის წამლობით ლამობდენ ფილოქსერის მოსპობას. ამ სითხის ვენახების ფესვებზე მიწაში შეშხაფუნებით ვითომდა რადიკალურათ მოისპობოდა, დაიხოცებოდა ვაზების ფესვების მწუწნავი მღილი-ფილოქსერა. ამ საშუალებების მხმარებლებს რუსეთის სამეურნეო მეცნიერებაში „რადიკალისტები" დაერქვათ. ამის მომხრენი იყვნენ რუსეთში მრავალი მეცნიერ-პრაქტიკოსნი და უმთავრესად ადესის საფილოქსერო კომიტეტის წარმომადგენელნი, რომელთაც მხარს უმშვენებდა ჩვენი ცნობილი თანამემამულე ქიმიკოსი პროფესორი მელიქოვი. იმ დროს სწორეთ ეს მიმართულება მეფობდა სამეურნეო მეცნიერებასა და ცხოვრებაში, განსაკუთრებით რუსეთის მევენახეობაში: ყირიმში, ბესარაბიასა და ჩრდილო კავკასიაში.

მაგრამ მტკიცე ბუნების პატრონი, ღრმა საზოგადო და სპეციალურ ცოდნის გამოცდილებით აღჭურვილი ახალგაზდა აგრონომი ვლ. სტაროსელსკიმ მოიმაგრა თუ არა ფეხი იმერეთში თავისი ნაყოფიერი შრომით, აქაც არ დაემორჩილა არც რუსეთის მეცნიერებს და არც რუსეთის მთავრობის მიერ იმ ხანებში საგანგებოდ მიწვეულ საფრანგეთ-გერმანეთის მეცნიერთ: ბბ. მარიონს და ჰორვარტს. იმათმა ჩამოსვლამ კავკასიაში აქაურ ვენახების დასათვალიერებლად და რჩევა-დარიგებების მისაცემად დიდი შეტაკება გამოიწვია იმერეთში ფილოქსერის საბრძოლველად მიწვეულ ორგანიზატორ სტაროსელსკისთან. იგი მტკიცედ იცავდა მეორე მიმართულებას ფილოქსერასთან საბრძოლველად. ე. ი. ამტკიცებდა, რომ იმერეთის ვენახების აღსადგენად საჭიროა ამერიკულ მწარე ვაზის შემოტანა, მისი მოშენება და მაზედ ჩვენებური ვენახის ჯიშების დამყნა და ამრიგად ვენახების ხელახლა მოშენება, მათი მყნობით აღდგენაო.

ეს პრაქტიკული დავა იმ ხანებში მოწვეულ უცხო სტუმრებსა და დამხვედრ მასპინძლებს შორის კავკასიის და რუსეთის სპეციალურ და საზოგადო პრესაშიც გადავიდა, სადაც ჩვენი მცხოვანი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძეც ჩაერია და მაშინდელ „Новое Обозрѣніе"-ს ფურცლებზე ამ საკითხის შესწავლით ავტორიტეტულად გაილაშქრა ხსენებულ მიმართულების წინააღმდეგ. ბრძოლამ დიდხანს გასტანა...

ამნაირად მაშინდელმა უცხო სტუმრებმა ადგილობრივი მასპინძლები თავის ავტორიტეტით ვერ დაარწმუნეს, რომ იმერეთში ვენახების აღსადგენად საჭიროა რადიკალური ზომების მიღება, ქიმიური სითხით მისი წამლობა და მიიღეს თუ არა რუსეთის მთავრობისგან „პრაგონი", გაუდგნენ გზას და იქიდან დაუწყეს პრესაში ტყირცნა „ურწმუნო თომას"- სტაროსელსკის. ამასობაში ენერგიული და მარტოხელი სტაროსელსკი არ ცხრებოდა და ამზადებდა თავის მეთოდის პრაქტიკულ ორგანიზაციას. ამ მიზნის განსახორციელებლად იგი თავის ინიციატივით და მთავრობის სუბსიდიით ფილოქსერის სამეფო, საფრანგეთშიაც კი გაემგზავრა, რათა იქ საფუძვლიანად და პრაქტიკულად გაცნობოდა ამ სენის ბუნებას და მის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებებს.

რამდენიმე თვის შემდეგ საფრანგეთიდან სამეცნიერო და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული დაუბრუნდა კავკასიას და ამ დღიდან იწყება მისი ნაყოფიერი პრაქტიკული მუშაობა იმერეთის მევენახეობის აღდგენისა. მისი გეგმით და ისევე საფუძვლიანი მოხსენებით კავკასიის საფილოქსერო კომიტეტში, იწყება საფილოქსერო დასების მუყაითი მუშაობა ჯერ შორაპნის მაზრაში, შემდეგ რაჭა-ლეჩხუმში, გურია-სამეგრელოში, ქვემო და ზემო იმერეთში და როცა ამასობაში ფილოქსერა ამოსავლეთ საქართველოშიც გადმოჰყვა იმერულ ვაზებს,— საფილოქსერო დასების მუშაობა ქართლსა და კახეთშიაც გაჩაღდა ისევ სტაროსელსკის შორეულ თუ მახლობელ ხელმძღვანელობით.

ჯერ დღესაც თითებზე ჩამოსათვლელია ჩვენში სპეციალისტები, ნასწავლი მეურნეები, ამ საქმისათვის მომზადებულნი და შესაფერისნი, მაშინ ხომ სანთლით საძებარნი იყვნენ ასეთები. ახალგაზრდა სტაროსელსკი კი ამ საქმით იდეურად გატაცებული არც ამას შეუშინდა და საფილოქსერო დასების შესადგენად, სოფლათ ხალხში სამუშაოთ გაიწვია და თავის საყვარელ საქმის პროპაგანდა მიანდო იდეიურად ხალხისათვის მომუშავე ახალგაზრდა ინტელიგენციას კავკასიის ყველა ეროვნებისას, ვიზედაც კი ნაცნობ-მეგობრები მიუთითებდნენ ან თითონ ასეთებს თხოვნის შემდეგ გაეცნობოდა. იგი ეროვნებით ამ საქმისათვის ახალგაზდებს არ არჩევდა. მისი საზომი იყო: პატიოსანი, იდეიურათ მომუშავე ხალხის მოყვარული დემოკრატიული ინტელიგენცია, თუნდაც უდიპლომო ყოფილიყო იგი.

მართლაც, იმ ხანებში მხნედ მომქმედმა ორგანიზატორმა ამ სახალხო საქმის შესაფერ მომზადებულ ინტელიგენტებს მოუყარა თავი. სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებშიაც ზოგიერთები უხეშები ამოჩნდენ, რომ არ შევეხოთ, სტაროსელსკის მიერ ამ 20—25 წლის წინედ სანაქებოდ მოწყობილ საფილოქსერო დასებში თავი მოიყარეს და მთელი საქართველოს კუთხეებს და მის მკვიდრს ეცნობოდენ ჩვენში იმ ხანებში ცხოვრებასა და პრესაში ფეხადგმული „მესამე დასელები", რომელთა შორის ზოგი (მაგალითად ეგნატე ნინოშვილი, კარლო ჩხეიძე, ლადო დარჩიაშვილი და სხვ.) საზოგადოთ ცნობილი მოღვაწეები შეიქმნენ და საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებულ ნოე ჟორდანიამ აქ დამხდურ სხვა მის ამხანაგებთან ერთად შექმნეს ჩვენში ახალი, ძველებისაგან დამოუკიდებელი ეგრედ წოდებული „მესამე დასი" სახალხო, დემოკრატიულ პრინციპების მქადაგებელი.

დღევანდელი ჩვენი დეპ. კ. ჩხეიძე კარგ, მეგობრულ-ამხანაგურ განწყობილებაში იყო იმერეთის მევენახეობის მსხნელ სტაროსელსკისთან და მისი საფილოქსერო დასის ერთ საუკეთესო ხელმძღვანელთაგანათ ითვლებოდა და თავის საიმედო თანამშრომლად მიაჩნდა იგი. კ. ჩხეიძე როგორც ადგილობრივი, შორაპნის მაზრის მცხოვრები, საუკეთესო მრჩეველ-მაჩვენებელი იყო სტაროსელსკისა იმერეთის მკვიდრთა ცხოვრების, მისი ეკონომიურ-კულტურულ მდგომარეობისა.

ასე რიგათ მოწყობილ ორგანიზაციას საფილოქსერო დასისას სტაროსელსკიმ შესაფერი სისამეურნეო დაწესებულებაც გაუჩინა იმერეთის შუაგულში, შორაპნის მაზრაში, დ. ყვირილის მახლობლათ. რაკი იგი ადგილობრივ მუშაობით და უცხოეთში ამ საქმის გაცნობით დარწმუნდა, რომ იმერეთის ვაზების ამერიკულ ვაზზე ჩვენებური ვაზების . მყნობით შეიძლება, მან მაშინვე მიჰყო ხელი ამერიკული ვაზის აქ მოშენებას. ამ მიზნით მან შეადგინა დასაბუთებული მოხსენება საქარის სანერგის მოწყობისა მთავრობის ხარჯით, მიაღებინა იგი კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს, რომლის საშუალებით გამოითხოვა ამ საქმის მოსაგვარებლათ კაპიტალი თანხა და 1893 წ. მიიღოდა ოცამდე დესიატინა მიწა საქარის ჭალაში და შეუდგა იქ ამერიკული ვაზის სანერგის გაშენებას. ააშენა აქ თავისისთვის და თავის თანამშრომლებისათვის სახლები და ეს აგრონომიული სადგური შესაფერისად მოაწყო. ამნაირად ჩაუყარა მან მკვიდრი საძირკველი იმერეთში მევენახეობის აღდგენის საქმეს.

**ქუთათური მწიგნობარი.**

(დასასრული იქნება).

# ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘ ᲑᲐᲮᲛᲐᲠᲝ

ბახმარომ, როგორც იშვიათმა საagarაკო ადგილმა, საპატიო ადგილი დაიჭირა არამც თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც კი გაითქვა სახელი. სამწუხაროდ ჩვენდა, როგორც ჩვენებური ეროვნული სხვა სიმდიდრე, ისე შესაფერად არც ბახმარო გვაქვს შესწავლილ-გამოკვლეული. მეცნიერულად ბახმარო (ჰავა, წყალი, ზეადაგი, ფლორა და ფაუნა) გამოწვლილებული ჯერ არ არის და თუ როდის გვეღირსება, ესეც არ ვიცით. უფრო ის ვიცით, რომ ჩვენ ჩვენსას ვერასოდეს ვერ შევისწავლით და ვერ დავაფასებთ. ამ ჟამად ბახმარო თეთრი სუდარით არის დაფარული, იქ მარტო მცველი რეჯებ-აღა ირემაძეა დარჩენილი, მაგრამ ჩვენ თუ ბახმარო მოგვაგონდა, ეს სხვისი ბრალია. ის მოგვაგონა უცხოელმა. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ანდრიას ძე კისელი ერთ ოზურგეთელს (ბ-ნ სტ. ან. კალატოზიშვილს) წერილით სთხოვს დაუსახელოს ისეთი პირი, რომელსაც შეეძლოს ბახმაროს შესახებ მეცნიერული ცნობების მიწოდება. პატივცემულ პროფესორს (ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორიც არის) გადაწყვეტილი ჰქონია მოსკოველ ექიმთა საზოგადოებას ბახმაროს შესახებ მეცნიერული მოხსენება წარუდგინოს. ბახმაროს ყველაზე კარგად იცნობს პროფესორი ბ-ნი იასონ მოსეშვილი, რომელიც 15 წელიწადია ბახმაროზე ყოველ წლივ დადის. იცნობენ აგრეთვე ჩვენი ექიმები, მაგრამ, ვიმეორებ, მეცნიერულ გამოკვლევას ვერც ერთი ვერ დაემყარება. ბ-ნ კისელსაც პასუხს მისცემს ოზურგეთის ამბულატორიის ჭკნეველი ექიმი ბ-ნი ავთანდილ პორ. ინგოროყვა, მიუთითეთ აგრეთვე ბ-ნ იასონ მოსეშვილზედაც, მაგრამ მეცნიერული მოხსენებისათვის ხომ საკმარისი არ იქნება ამათ მიერ მიწოდებული ცნობა. დროა ჩვენს მშვენებასა და საამაყო ბუნებრივ სიმდიდრეს ჩვენვე მივხედოთ და ღირსეული ადგილი მოუპოვოთ. ეს კი სავსებით უნდა იკისროს ბახმაროს მოაგარაკეთა საზოგადოების „ჯანმრთელობის" გამგეობამ.

ხსენებული გამგეობა დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს იმის თადარიგს, რომ მომავალ სეზონში ბახმარო მეცნიერულად გამოაკლევინოს მცოდნე პირებს. გამოკვლევა უნდა დაისტამბოს წიგნაკად ქართულს, რუსულს და ერთ ერთ უცხო ენაზე (ფრანგულზე) და გავრცელდეს ყველგან. ამასთანავე ასე სამს ენაზე უნდა გამოიცეს პლაკატები, საცა მოკლედ იგივე იქნება გამეორებული, რაც წიგნაკში და თან დაერთვება მოაგარაკეთათვის საჭირო ცნობები (გზის გეზი, ცხოვრების პირობები და სხვა).

როცა ბახმარო მეცნიერულად გამოიკვლევა, მერე მისი კურორტად აღიარებაც ადვილი იქნება, მანამდე კი საამისო ცდაც ზედმეტია, რადგან მთავრობა უტყუარ ცნობებს მოითხოვს და ჩვენ კი ხელცარიელი ვიქნებით— ენდეთ ჩვენს გამოცდილებასო, ვეტყვით, მაგრამ არ დაგვიჯერებენ. მალე 30 წელიწადი შესრულდება, რაც ბახმაროთი შინაური და გარეული სარგებლობს და მისი სასწაულებრივი სამკურნალო თვისებით დიდად კმაყოფილნი არიან. მაგრამ, ვიმეორებ, ეგ არ კმარა, არამედ საჭიროა მეცნიერულმა გამოკვლევამაც დაადასტუროს და სამკურნალო აგარაკად აღიაროს— გამოიძიოს, თუ რა და რა სენით შეპყრობილებს რგებს და ვინ როგორ ისარგებლოს. იგივე მეცნიერული კვლევა-ძიება მიგვითითებს, თუ რა უნდა გაკეთდეს ბახმაროზე და როგორ. ვისაც კავკასიის სხვა აგარაკები უნახავს, ყველა მოგახსენებს, რომ ბახმაროს ვერც ერთი ვერ შეედრება და თუ ეს მართლა ასეა, აფსუსია, ბახმარო მეცნიერებამ არ იცოდეს. გამგეობა თუ მართლა ბახმაროს კეთილ მოწყობისათვის ზრუნავს პროფ. კისელის მოწოდებას გამოეხმაუროს და შესაფერ თადარიგს დაიჭერს.*)

**აპ. წულაძე.**

# ᲓᲐᲒᲐ-ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ

**ატენის ხეობა** (გორის მაზრა) მე 18 საუკუნის გეოგრაფოსი ბატონიშვილი ვახუშტი ატენის ხეობის იმ ნაწილზედ, რომელსაც ეხლა ეწოდება თავ ხეობა, თვის გეოგრაფიაში სწერს შემდეგს: „ალაგი იგი არს მთიური, ვიწრო და მაგარი, კლდიანი, ტყიანი და ცხელი". მე მსურს ხაზი გავუსვა სიტყვას „ტყიანი". მაშასადამე, ეს ვეებერთელა ნაწილი ტანის ხევისა ერთ დროს ტყით ყოფილა შემოსილი. ეხლა კი საცოდავი სანახავია ეს თავხეობა.

როდესაც სდგეხართ მწვერვალ ჯამჯამაზე, საიდანაც იწყება ტანის ხეობა და გადასცქერით არე-მარეს მტკვრის მხარისაკენ; როცა აკვირდებით თქვენს ფერხთ გაშლილ ხეობას და მის ფერდობებს, გული ბოღმით და ნაღველით გევსებათ: თქვენ თვალ წინ გაჭიმულა გადახრუკული, მწირი, უნაყოფო კლდოვანი ფერდობები.

მხოლოდ აქა-იქ კიდევ ეტყობა ამ ადგილებს ნიშანი წარსულ სილამაზისა, აქა-იქ კიდევ დარჩენილა ტყე მშვენიერი, დიდი.

მთელი ამ ხეობის ხე-ტყის ბედი წინადაც და ეხლაც ერთ მრეწველის ხელშია, რომელიც სრულიად უკანტროლოდ საზოგადოების მხრივ ეწევა ხე-ტყის ექსპლოატაციას.

იმის გარდა, რაც ნადგურდება და მიწასთან სწორდება შეუბრალებელ ადამიანის ცულის მიერ, ერთი სხვა რისხვაც ევლინება დროებით ამ ტყეს; მუშების ან მოსახლე ოსების დაუდევრობით ტყეს უჩნდება ცეცხლი, რომლის გაქრობაც კაცის ხელს არ ძალუძს. ტყე იწვის იმ დრომდის ვიდრე არ იწვიმებს.

ცეცხლის მიერ ნამოქმედარი საზარელი სურათი კაცს თვალწინ ეშლება მაშინ, როცა იგი სდგას მწვერვალ ჯამ-ჯამაზე და ხეობას გადაჰყურებს; მრავალზე-უმრავლესი ხე-ტყით დამწვარდანახშირებულით მოფენილა რამდენიმე დღიური. და იქ, სადაც ყოველივეს გამანადგურებელ ცეცხლს გაუვლია, თვით ღვარძლა ბალახიც აღარ ხარობს, მხოლოდ უნაყოფო, ტიტველი ფერდობებია.

ამ ტყეების გაჩეხვაა მიზეზი, რომ მდინარე ტანას დასჩემდა საზარელი და გამანადგურებელი მოვარდნა ყოველ წვიმის შემდეგ.

ამ ხეობაში ტყის ფართო ექსპლოატაცია შეჩერებული იყო. წრეულ-კი მრეწველი ისევ შეუდგა ტყის ჩეხვას. კვლავ მიესია მრავალი მუშა უწყალო და უკანტროლო ცულით და კვლავ დაიკვნესა ტყის ნატამალმა, რომელიც მხოლოდ აქა-იქ ღა დარჩენილა ობოლი მარგალიტივით.

ასე ნადგურდება უცხოთა სასარგებლოდ და მკვიდრთა საზარალოდ ჩვენი სამშობლოს დაუფასებელი სიმდიდრე.

**სოსო.**

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓ. ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ბ-ნო რედაქტორო!

მივიღე თქვენგან ბ. ლევან ციმაკურიძისაგან გადმოცემული, ყარაურგანში ქართველთა შორის შეგროვილი 190 მანეთი ქვიშხეთის, დიმიტრი ყიფიანის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ, რისთვისაც დიდს მადლობას სწირავს შემომწირველთ ბიბლიოთეკის გამგეობა. გარდა ამისა, ამავე ბიბლიოთეკისათვის „ზაქარეჩის" გამოსაწერად საჭირო ფული გადმომცა თ-დმა გოგინა ბაგრატიონდავითაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ და იმედს ვიქონიებთ, რომ ყველა ის ქართველნი, რომელთაც ზემოხსენებული შემოწირულება გაიღეს, არც მომავალში დასტოვებენ უყურადღებოდ ამ სამკითხველოს და საერთოდ ყოველ ჩვენს საზოგადო დაწესებულებას. პატივსადებია ასეთი მათი ხსოვნა თვისი მოვალეობისა სამშობლო დაწესებულებათადმი უცხო მხარეს ყოფნივ დროსაც.

პატივისცემითა და დიდის მადლობით ბიბლიოთეკის გამგეობის თავმჯდომარე **ნინო ყიფიანისა.**

*) სასურველია გამგეობამ ეცადოს და ყურადღება მიაქცევინოს საკურორტო საზოგადოებას, რომელთა დასკვნაც ავტორიტეტული იქნება.

აპ. წ.

# ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

გუშინდელ №-ში ლ. ჯაფარიძის წერილში შემდეგი კორექტორული შეცდომებია: სწერია მდგომარეობის ასეთმა შეცვლამ მაგრად დასხიძა ქართველთა ყურადღების ძარღვი; უნდა იყოს: მდგომარეობის ასეთმა შეცვლამ მაგრად დასჭიმა ქართველთა ყურადღების ძარღვი.

სწერია: ის, არც ახლო დაშორებული ხანის წინათაც შეუძლებელი იყო; უნდა იყოს: ის, რაც ახლო დაშორებული ხანის წინათაც შეუძლებელი იყო.

სწერია: ესეთი ბუნება საქმის სირთულისა უნდა იყოს: ესეთი შეგნება საქმის სირთულისა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო შანშიაშვილი**


# ᲡᲣᲡᲣᲜᲐᲢᲘ

ვისაც სურს უმტკივნეულოდ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „**გონოზანით**". ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება,** გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3 მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელ დღე. —300—


# ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ Რ. Გ. ᲒᲖᲘᲡ

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | სალ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | სალ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | სალ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | სალ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | სალ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | სალ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | სალ. |
| თელავიდან | | № 3, . 6 | „ 24 „ | სალ. |


ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

# Კ. ᲝᲪᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово" ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი **ს. ოცხელის მიერ.** ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა") თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ „Новое Сслово"-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова" имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка.. „Новое слово" можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народныхъ школъ".

(თ.—225—22)

# ᲗᲣ ᲒᲡᲣᲠᲗ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

# ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ

ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲐᲡ

# Ი. Თ. ᲒᲕᲐᲗᲣᲐᲡᲐᲡ

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

# „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ"-ში

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება",", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲜᲘ

# ᲫᲛ. ᲥᲔᲒᲔᲚᲝᲔᲑᲘ

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილი, საქ. მრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ბაშმაჩნის" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.